ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

22 იანვარი შაბათი 1991 № 8 (11641)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## მხარდაჭერა ეროვნული თავდაცვის ფონდს

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდი. ბანკებში უკვე გახსნილია შესაბამისი ანგარიში. გაჩნდა პირველი შესატანებიც. იმედია, საქართველოს კეთილდღეობით დაინტერესებული ყველა ქართველი და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანები არ დაიშურებენ თავიანთ დანაზოგებს ამ ფონდის გასაძლიერებლად. ეს მითუფრო მოსალოდნელია, რომ თავდაცვის ფონდის შექმნის ინიციატივა მოსახლეობიდან, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების შრომითი კოლექტივებიდან წამოვიდა. ხალხის აქტიური მონაწილეობა ამ ეროვნულ საქმეში არა მარტო ნივთიერ სახსარს მისცემს ჩვენს მთავრობას, არამედ ეს იქნება მისი მნიშვნელოვანი მორალური მხარდაჭერაც. ამით ამავე დროს ნათლად გამომჟღავნდება ჩვენი ერთიანობა და დარაზმულობაც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მკითხველს მსურს, შევთავაზო ერთი საინტერესო დოკუმენტი ჩვენივე ისტორიის ახლო წარსულიდან, რომელიც ანალოგიურ საკითხს ეხება.

1920 წლის ნოემბერში დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ შექმნა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდი, რომლის თავმჯდომარე იყო აკ. ჩხენკელი. მან ფონდის გამგეობის სახელით მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს. მიმართვაში ნათქვამი იყო:

**„...მუდმივი საერთაშორისო მოუსვენრობა და გართულება ახდენს თავის უარყოფით გავლენას ჩვენ თავისუფალ სამშობლოზედაც; ცეცხლის ალი, არამც თუ არ შორდება მას, არამედ უახლოვდება კიდეც. არ არის სრულიად მოულოდნელი, რომ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა ქიშპობამ და ინტერესთა წინააღმდეგობამ თვით ჩვენი ტერიტორია გახადოს, ჩვენდა დამოუკიდებლად, სამხედრო მოქმედების ასპარეზად...**

**ხანამ არ შეუქმნიათ ნამდვილი გარანტია მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, ხანამ ჩვენს მეზობლად არ დამკვიდრებულა ნორმალური მდგომარეობა, საქართველო არ არის და არც შეიძლება იყოს დაზღვეული გარეშე სიფათისაგან.**

**ამიტომ თავდაცვის საქმე არის და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი საგანი.**

**დამფუძნებელი კრება და მთავრობა ხმარობენ ყოველ ღონეს, რომ კარგათ მოაწყონ თავდაცვის საქმე, მაგრამ ეს არ კმარა.**

**საჭიროა თვით ხალხმაც გამოიჩინოს დროის შესაფერი სიფხიზლე და გამჭრიახობა, მანაც აამოქმედოს მთელი თავისი ცოცხალი ძალები, მანაც დაანახვოს მტერსა და მოყვარეს საქმით, რომ ის არ იშურებს არაფერს თავისუფალ სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**ერთი ასეთი საქმე არის რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შექმნა, რომლის თადარიგს შეუდგა მთავარი გამგეობა... საქმე, რომელიც უკისრია გამგეობას, არის უაღრესად ეროვნული და უდაო. როცა კითხვა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნას ეხება, მაშინ არ არის პარტია, არც კლასი, არც შთამომავლობა, — ყველა ერთია, ქართველი ერი, საქართველოს ხალხი ერთი ცოცხალი ორგანიზმია, ალტყინებული ერთი გრძნობით და გამსჭვალული შეუდრეკელი ნებისყოფით.**

**აქედან, თავდაცვის ფონდის შექმნაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველამ: დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მდიდარმა და ღარიბმა...**

**ყველამ თავის სილობის და სოციალურ მდგომარეობის შესაფერისი წვლილი უნდა გაიღოს: გლეხმა პური, სიმინდი, ქერი, მატყლი და სხვა, მუშამ და მოსამსახურემ თავის შრომის სასყიდლის ერთი ნაწილი, მდიდარმა ნივთეულობა და ფული.**

**განსაკუთრებულია ქალების მოვალეობა. ისინი ღირსი არ იქნებოდნენ სამშობლოსათვის წამებულ მათი წინაპრებისა, რომ დაეშურათ მათ მიერ სამკაულად სმარებული ერთი რომელიმე ძვირფასი ნივთი საერთო სამსხვერპლოზე მისატანათ...**

**სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ხალხი განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა პირნათლად შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე, — რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა ამიერიდან იწყებს თავის მოქმედებას...“ („საქართველო“, 1920 წ, 2 დეკემბერი).**

აქვე არ იქნებოდა ურიგო გავეხსენებინა ერთი შთამბეჭდავი ფაქტიც:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ახლო ხანებში დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის გენერალ გ. კვინიტაძის თაოსნობით დაარსდა სახელმწიფოსათვის საჭირო ფულის ფონდი. პირველი შესატანიც გ. კვინიტაძეს ეკუთვნოდა, რომელმაც ფონდს შესწირა ყველა თავისი ორდენი.

მე ვერ ვიტყვი, თორემ რაც საქართველოში ახლა ორდენი და მედალია...

**ოთარ ჯანელიძე**

**17 იანვარი, 1991 წელი.**

**გთხოვთ, ამ წერილის ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული თავდაცვის ფონდში.**

## ნათლისღების დღე სიონის ეზოში



თამაზ ბიბილურის ფოტო

### საქართველოს ინვალიდ და ავადმყოფ ბავშვთა დახმარების ხაზინის საინიციატივო ჯგუფის მიმართვა სრულიად საქართველოს

## თანამემამულენო!

ჩვენ, ზემოაღნიშნული საინიციატივო ჯგუფის წევრები, ინვალიდ და ავადმყოფ ბავშვთა სახელით ვითხოვთ თქვენს მაღალ ყურადღებას.

დღეს, საყოველთაო პოლიტიკური და ზნეობრივი კრიზისის პირობებში ძალზე ძნელია ადამიანთა მზერა სხვა, „მიწიერი“ პრობლემებისადმი მიმართო. არადა ეს ჭირიც იმ ავადსახსენებელი საბჭოთა პერიოდის პირმშოა. საქმე ეხება ისეთი სნეულებებით შეპყრობილ ბავშვებს, რომელთა განკურნება ჩვენს პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია. უკვე არა ერთი და ორი ბავშვი დაიღუპა მხოლოდ იმის გამო, რომ არ იყო შესაბამისი სახსრები, პრეპარატები. ბევრმა ხმაც ვერ მიაწვდინა სრულიად საქართველოს, დღესდღეობით რამდენიმე ათეული ბავშვი სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას. რესპუბლიკას კი ფული არა აქვს. ხალხიც დაიღალა ამდენი ფონდებით, ანგარიშებით, მათ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით. უდანაშაულო ბავშვებს დღითიდღე უმოკლდებათ სიცოცხლე.

ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ იმ გზებზე, რომლითაც ქმედით დახმარებას აღმოვუჩენდით მათ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ შემოწირულობები თუ სპონტანური საქველმოქმედო აქციები ვერ შეასრულებენ ამ კეთილშობილურ მისიას. ჩვენი აზრით, აუცილებელია ქველმოქმედების გარკვეულ კალაპოტში მოქცევა, ორგანიზაციული ფორმების მოძებნა. ვითვალისწინებთ რა მდგომარეობის მთელ სიმძიმეს, სამკურნალო ბავშვების რიცხვს, ერის სამსჯავროზე გამოგვაქვს შემდეგი წინადადება: ნებაყოფლობით საფუძველზე, რესპუბლიკის ყველა მუშა-მოსამსახურემ ხაზინის ანგარიშზე, ყოველთვიურად გადმორიცხოს 1 მანეთი. თანამემამულენო! ეს იქნება თქვენი ჩუმი, უსიტყვო, მაგრამ ღვთიური მადლით ნაკურთხი დახმარება სნეული ბავშვებისადმი, რომელთა სამკურნალოდ უცხოეთში გაგზავნა, ჯანმრთელობის სამინისტროს წერილობითი დასკვნის შემდეგ, ჩვენს მიერ გარანტირებული იქნება. გარდა ამისა, იქნებ მომავალში შევძლოთ და შევიძინოთ დეფიციტური უცხოური აპარატურა, პრეპარატები, გავგზავნოთ ქართველი ექიმები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რამეთუ ღრმად გვწამს, რომ ბოროტებას სათავეში უნდა ებრძოლო.

მეგობრებო! ქართველებო და არაქართველებო! სრულიად საქართველოს შვილებო! უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ გამოგვეხმაუროთ, რამეთუ დრო არ ითმენს. მივმართავთ საწარმოებს, დაწესებულებებს, ინსტიტუტებს, საზოგადოებრივ მოძრაობებს, პარტიებს! გამოხატეთ თქვენი პოზიცია და თანადგომა ამ მამულიშვილურ საქმეში. თქვენი აზრი გადამწყვეტი იქნება.

საინიციატივო ჯგუფის სახელით

**ირმა სოხაძე**
**[illegible] დავითური**
**[illegible] გორდელაძე**
**პაჟუკა შილაძე.**

**მინაწერი:** გთხოვთ, თქვენი წინადადებები და მოსაზრებები ორი კვირის განმავლობაში გადმოაგზავნოთ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ მისამართზე.

## ახლა რიგა, ვინ იქნება შემდეგი?..

როგორც საინფორმაციო პროგრამა „ნაშუადღევმა“ გადმოსცა, 20-21 იანვრის ღამით ლატვიის დედაქალაქ რიგაში მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის (OMOH) შტურმით აიღო ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. წინასწარი მონაცემებით დაღუპულია 4 და დაჭრილია 9 კაცი. დაზარალებულთა შორის არის [illegible] ისტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხომ არ ჩამოვკრათ განგაშის ზარი?

წერილის დაწერა განაპირობა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბატონ ირაკლი ჩხეიძის გაზეთ „თბილისის" 1990 წ. 6 დეკემბრის ინტერვიუს სიტყვებმა: „დაიკარგა ქართული აბრეშუმი" და ბატონ ელბერდ ბატიაშვილის 1990 წ. 21 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულმა სტატიამ „მეთაურის უთაურობა, ანუ 200-18=0?!".

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა დროს მეაბრეშუმეობაა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელიო, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ თუ უახლოეს წლებში ვერ შევძელით ეროვნული ეკონომიკის შექმნა, მომავლისათვის არავითარი პერსპექტივა არ გვექნება. ეროვნული ეკონომიკა კი, უპირველეს ყოვლისა, მეაბრეშუმეობის მსგავს ჩვენს ძველ სამეურნეო დარგებს უნდა დაეფუძნოს.

ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შემოვკრათ ზარები და ვამცნოთ ხალხს, რომ ქვეყნის უძველესი ტრადიციული დარგი—მეაბრეშუმეობა დაღუპვის პირასაა და მას ამთავითვე უნდა შველა: რა პასუხს აძლევთ ერსა და ქვეყანას, ამ დარგის ხელმძღვანელო მუშაკებო, აქამდე რომ ხელოვნურად შემცირებული გეგმების „შესრულებითა" და პრემიების აღებით იყავით დაკავებულნი?...

მიუხედავად უკანასკნელი 25 წლის მანძილზე გატარებული მთელი რიგი უაღრესად ძვირადღირებული ღონისძიებებისა, რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა დღითიდღე კნინდება და აბრეშუმის პარკის წარმოების დონეც შეუწყნარებლად დაბლა ეშვება. 1990 წელს რესპუბლიკაში დამზადდა 15409 ცენტნერი ცოცხალი აბრეშუმის პარკი, რაც ყველაზე მცირეა 1964 წლის შემდგომ პერიოდში.

ჩვენ შეშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ იმ მეთოდებით და საშუალებებით, რომლებიც ჯერჯერობით კიდევ ხორციელდება ამ დარგში, საქართველოში მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა ვერ აღდგება და ქართული აბრეშუმის წარმოების გადიდებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება.

რაოდენ პარადოქსულად ჟღერს ამ ფონზე 23 ნოემბერს ეთერში გაშვებული სატელევიზიო გადაცემა, სადაც მეაბრეშუმეობის მეთაური საწარმოო-საკოორდინაციო ასოციაციის გენერალური დირექტორი ბატონი გივი ყუფიანი ცდილობდა დაემტკიცებინა ამ დარგის მეცნიერების უნაყოფო მუშაობა: თურმე დღემდე არ არის გამოყვანილი ფოთლის ხუჭუჭისადმი გამძლე თუთის ჯიში, აი, ბატონ გივის აზრით, რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის ჩავარდნის ძირითადი მიზეზი.

ბატონო გივი, ამით უფრო ხომ არ გინდათ დარგის ხელმძღვანელობისაგან ლაქის ჩამორეცხვა და რაც მთავარია, თქვენი პირადი „დამსახურების" მიჩქმალვაც? ამ პერიოდში თქვენ ხომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი წინამძღოლი დ ამასთან, მეაბრეშუმეობის დარგის კურატორი იყავით? განა არ იცით, რა არის მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის დაკნინების ძირითადი მიზეზი, რომელშიც ლომის წილი თქვენ გეკუთვნით? შეგახსენებთ: 1. მიუხედავად რეკომენდირებული 5 ჯიშისა, წარმოებაში რატომღაც დანერგილი იქნა ძირითადად ერთი ჯიში [illegible]

კითხებზე როგორი ხელჩართული დავა უხდებოდათ მეცნიერების წარმომადგენლებს წარმოების მუშაკებთან ზემდგომ ორგანოებში, პრესის ფურცლებზე, თუ სატელევიზიო გადაცემებში? დავაში გამარჯვებული ყოველთვის თქვენ გამოდიოდით, რადგან ყველაფრის „ჩაწყობას" ახერხებდით. ამის დასამტკიცებლად მარტო 1974 წლის აპრილში მეაბრეშუმეობის რესპუბლიკური თათბირის ჩატარების გახსენებაც კმარა, როცა ზემოთ აღნიშნული საკითხები მეცნიერების წარმომადგენელმა მოხსენებაში გააშუქა, თქვენ მას „მტერი" უწოდეთ... და „ზემოდან" სათანადო დასტურიც მიიღეთ. (სწორედ აქედან დაიმკვიდრეთ ყოვლისშემძლეობის „საპატიო" ზეწოდება — „შევარდნაძის კაცი"). ამას ვერავინ დაგიკარგავთ—ეს ორი ათეული წელია ყოველთვის ახერხებდით დემაგოგიასაც და დროებისადმი „ფეხის აყოლასაც", ოღონდ ეგაა, მეაბრეშუმეობის განადგურების ხარჯზე...

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამასწინანდელი არჩევნების წინ თქვენ სასწრაფოდ მოახერხეთ „საქ. სსრ აგრომრეწვის მეაბრეშუმეობის სამმართველოსათვის" გეწოდებინათ ჯერ „საწარმოო-სამეცნიერო ცენტრი", ხოლო შემდეგ საჩქაროდ რატომღაც — „მეთაური საწარმოო-საკოორდინაციო ასოციაცია".

სახელწოდების შეცვლის პირველი ეტაპის მიზანი ცნობილია — დასტური მიგეღოთ სამეცნიერო მუშაობის ნებართვაზე, რაც ნაწილობრივ განახორციელეთ კიდეც, მაგრამ მეორე ეტაპის არსი უცნობია, რადგან დღემდე არ არის ცნობილი ახლად გამომცხვარი „ასოციაციის" მიზანი, წესდება და დანიშნულება და არც ის თუ როგორ და რა ფორმით არის დაკომპლექტებული.

რას უნდა მიეწეროს ის, რომ მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, თქვენ მაინც შეძელით უკრაინიდან ჩამოგეტანათ გრენა. ტრაგიკული შედეგიც ხომ სახეზეა: ჯერ ვანში (ვანის გრენქარხანა დაიხურა 5 წლით), შემდეგ თელავში, წელს დიღომში (იქნებ სხვაგანაც) იჩინა თავი მეაბრეშუმეობის ყველაზე საშიშმა მტერმა — დაავადება პებრინამ. გეკადრებათ, ბატონო გივი, — განა შეიძლება პებრინის დამალვა? ეს ხომ დარგისადმი პირდაპირი ღალატია.... სისტემაში ნუთუ არავინაა ღვთისნიერი, რომ აგვიხსნას, თუ რა უბედურების მომტანი შეიძლება გახდეს საქართველოში პებრინის გავრცელება? რა პასუხს გასცემ ერს, როცა პებრინის გავრცელება შეუქცევადი გახდება — ვის მონათლავთ ამჯერად „მტრად"?

ყოვილივე ამის შემდეგ რა უნდა იწოდოს თქვენს მორიგ მოთხოვნას ბიუჯეტიდან 25 მილიონი მანეთის ახალი კაპიტალდაბანდების გამოყოფის შესახებ? ნუთუ არ გვეყო წყალსგაყოლილი ძველი მილიონები და კიდევ ახალ-ახალი მილიონები უნდა გადავყაროთ „პერესტროიკას" ამოფარებული ძველი ბიუროკრატიული მმართველობის უძირო ზღვაში, რომ კვლავ „სიზიფეს შრომისათვის" გავწიროთ ერის მწარმოებელი ძალები?. სად ხდება ასე — დარგი გაანადგურო და მილიონები კი მიიღო?...

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მეტად რთულ გზაზე მეაბრეშუმეობის ტრადიციული დარგის აღორძინებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ძველი ბიუროკრატიული სტრუქტურებიდან ახალ [illegible]

**მაია საბანძელიძე,**
**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.**

# რა ვუყოთ ციტრუსებს

შემოდგომის მიწურულს, როგორც წესი, დასავლეთ საქართველოში იწყება ციტრუსების მოსავლის აღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ბატალიები. მოსავლის აღება ასე თუ ისე ხერხდება (მნიშვნელოვანწილად სხვადასხვა რეგიონიდან შემოყვანილი ან ადგილზე დაქირავებული მუშახელის მეშვეობით). უფრო რთულია ვითარება, როდესაც საქმე ეხება მოწეული მოსავლის რეალიზაციის უფლებას. დღემდე ეს უფლება მონოპოლიზირებული ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოს, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება კი სხვადასხვა სახის მითითებებითა და დადგენილებებით „კანონიერ" სახეს აძლევდა ცენტრიდან საქართველოსადმი წამოყენებულ უკანონო მოთხოვნებს.

მეციტრუსეებისათვის განსაკუთრებით „დიდი მნიშვნელობა" ჰქონდა ანტიგლეხური პოლიტიკის ისეთ „შედევრს", როგორიცაა 1972 წელს საქართველოს კომპარტიისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ ერთობლივ დადგენილებას, რომელიც კრძალავდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსების გატანას.

ერთი შეხედვით, დადგენილების სულისკვეთება პროგრესული იყო, ისახავდა რა მიზნად საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ციტრუსებზე. სინამდვილეში კი ამ დადგენილებაზე დაყრდნობით ხორციელდებოდა არა რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა ციტრუსებით, არამედ სხვა რესპუბლიკების, ძირითადად კი ქ. მოსკოვის მომარაგება ქართველი გლეხის მიერ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული მოსავლის იაფად „წაღლების" ხარჯზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ ციტრუსები ძირითადად იწარმოება გლეხთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, საკავშირო ხელისუფლებისადმი ჩვენი რესპუბლიკის მიერ აღებული ზემაღალი დაუსაბუთებელი ვალდებულება ციტრუსების მიწოდების თაობაზე სრულდებოდა გლეხების მიერ სახელმწიფოსათვის ნაყოფის იძულებითი ჩაბარების წესით. (ხშირად წაგიკითხავთ ალბათ ჩვენს პრესაში ლანძღვაგინება, რომელიც დაიმსახურეს იმ ე. წ. „შეუგნებელმა" გლეხებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს პირად დამხმარე მეურნეობაში მოწეული მოსავალი ბაზარზე გაეყიდათ).

იმის ნათელ მაგალითად, თუ რა შედეგი მოიტანა ციტრუსების თავისუფალი რეალიზაციის აკრძალვამ, გამოდგება 1988 წელი. ამ წელს ციტრუსების უხვი მოსავალი იყო, მაგრამ, იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერც თვითონ შეძლო მოსავლის მიღება და არც გლეხს მისცა მისი გაყიდვის საშუალება, ათასობით ტონა ნაყოფი გაფუჭდა. გლეხობამ მილიონობით მანეთი იზარალა. დაზარალდნენ კოლმეურნეობებიც, რომლებიც იძულებული გახდნენ, ციტრუსოვანთა მთელი მოსავალი რომ არ დალპობოდათ, ჩალის ფასად ჩაებარებინათ გადასამუშავებელი მრეწველობისათვის.

საქართველოსა და აჭარის იმდროინდელ ხელისუფალთა დანაშაულებრივ პოზიციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სხვა რესპუბლიკების კოოპერატივებს უარი ეთქვათ ციტრუსების მიყიდვაზე, ხოლო მათი სატვირთო მანქანები უკან გააბრუნეს. (იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეს ადრე თუ გვიან გამოიძიებენ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები).

წელსაც, ისევე როგორც 1988 წელს, ციტრუსების უხვი მოსავალია. საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ არ უღალატა თავისი წინამორბედების ტრადიციას და პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლის წინ ციტრუსების მწარმოებელ გლეხებს მათ მიერ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული მოსავლის წინააღმდეგ მიმართული ოდიოზური დადგენილებები ავტომატურად გაუქმდა. ახალი მთავრობის ფორმირებამდე, ყოფილი მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული განკარგულებებიდან დღეს მხოლოდ ზოგიერთს აქვს ძალა, მათ შორისაა — ღონისძიებათა პაკეტი („იძულებითი ღონისძიებანი" გაზ. „კომუნისტი", 11. XI. 1990), რომელიც ძირითადად მიმართულია მოსახლეობის სასურსათო და არასასურსათო საქონლით გარანტირებულ მომარაგებასა და რესპუბლიკიდან პროდუქციის დიდი რაოდენობით გატანის აღკვეთისაკენ. მისი ერთ-ერთი პუნქტი ციტრუსების რეალიზაციასაც ეხება. მოქალაქეებს ამ განკარგულების მიხედვით ციტრუსების ან სხვა ხილის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანისათვის მკაცრი აღრიცხვის სპეციალური საშვი ეძლევათ რაიონული (საქალაქო) საბჭოს მიერ. გასატანი პროდუქციის რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფო დაკვეთის ანგარიშზე ჩაბარებული ამ პროდუქციის არა უმეტეს 70 პროცენტის ოდენობით.

როგორც დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, ციტრუსმწარმოებელ რაიონებში ჯერ კიდევ ძალაუფლების მქონე პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი და სააგრომრეწვო ნომენკლატურა ამ განკარგულებაზე დაყრდნობით დაბრკოლებებს უქმნიან გლეხებს. მაგალითად, ციტრუსებით რეალიზაციისათვის სპეციალური საშვი რომ მიიღონ, გლეხებმა ჯერ ცნობა უნდა აიღონ ციტრუსების მიმღებ პუნქტში სახელმწიფოსადმი ჩაბარებული მოსავლის რაოდენობის შესახებ, შემდეგ კი ეს ცნობა უნდა დაამოწმონ თავიანთ სასოფლო საბჭოში, და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ მათ უფლება ჩავიდნენ რაიონულ ცენტრში და რაიაგრომრეწვში წარადგენილი ცნობის საფუძველზე მიიღონ საბოლოო დოკუმენტი. სპეციალური საშვის მიღების გზაზე შექმნილი ეს ხელოვნური ბარიერები გლეხს უამრავ დროსა და ენერგიას ართმევს (ხომ შეიძლება საშვი ციტრუსების ჩაბარების პუნქტში გაიცეს, ყოველგვარი ადმინისტრაციული მტკიცებების გარეშე), ხოლო რაიონული აგრომრეწვის მესვეურებს კი ასეთი ვითარება კარგ ნიადაგს უქმნის ამ საშვით ვაჭრობისათვის.

საერთოდ კი უმჯობესია მოიხსნას ყოველგვარი აკრძალვები საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული ციტრუსების რეალიზაციაზე. ჯერ ერთი, არაკანონიერია ვაიძულოთ გლეხი საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული მთელი მოსავლის ან მისი ნაწილი ჩააბაროს სახელმწიფოს, რადგან იქ მოწეული მოსავალი მხოლოდ მისი საკუთრებაა. ყოველგვარი სხვა ხასიათის დამოკიდებულება გლეხების საკუთრების მიმართ იქნება ათასჯერ დაგმობილი. სასურსათო გაწერის ამა თუ იმ სახით განხორციელება უაზრობაა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. გლეხი მთლიანად უნდა ფლობდეს საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეულ მოსავალს და უფლება უნდა ჰქონდეს მოახდინოს მისი რეალიზაცია თავისი ნება-სურვილის მიხედვით.

ფასები თითქმის ყველა პროდუქციაზე კატასტროფულად იზრდება. ამიტომ თუ გლეხს აქვს შესაძლებლობა საკუთარ მიწის ნაგლეჯზე მოწეული მოსავლის ხარჯზე გაიუმჯობესოს თავისი ცხოვრების პირობები, ამაში მას ხელი უნდა შევუწყოთ და არა პირიქით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ციტრუსები, კერძოდ კი მანდარინი, სრულ მსხმოიარობაში მხოლოდ მე-10-12 წელს შედის. ე. ი. ამ ხნის განმავლობაში გლეხს მისგან შემოსავალი არ აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალი ოჯახების უმეტესობა [illegible] ნებელი სახლის ღირებულება ასტრონომიულ მაჩვენებლებს აღწევს. ზემოთ თქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, თუ გლეხს დღევანდელ პირობებში არ მივეცით თავისი კუთვნილი პროდუქციის საბაზრო ე. ი. რეალურ ფასებში რეალიზაციის უფლება, ის დიდხანს ვერ გაიუმჯობესებს თავისი ცხოვრების პირობებს.

ძირითადი არგუმენტები იმის წინააღმდეგ, რომ გლეხს არ მიეცეს ციტრუსების თავისუფალი გაყიდვის უფლება, შემდეგია: ა) თუ გლეხს მივეცით ციტრუსის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის შესაძლებლობა, ჩვენი მოსახლეობა დაგვრჩება ამ ხილის გარეშე; ბ) დღევანდელ პირობებში, როცა დარღვეულია რესპუბლიკებს შორის საქონლის მიწოდების პირობები, ციტრუსების ნაცვლად სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ საქონლით შევძლებთ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ამა თუ იმ სახის აუცილებელ პროდუქციაზე.

საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ციტრუსებზე თავისუფლად შეიძლება სოფლის საზოგადოებრივ სექტორში მოწეული მოსავლის ხარჯზე, თანაც შედარებით იაფად. ამასთანავე ციტრუსი არ არის კვების ძირითადი პროდუქტი. ე. ი. ისეთი, რომლის უქმარისობამაც შეიძლება გააუარესოს ადამიანის კვების რაციონი.

მეორე არგუმენტი ანგარიშგასაწევია. დღევანდელ რთულ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა ქაოსურ მდგომარეობაშია, საქართველოს აუცილებელია ჰქონდეს ისეთი პროდუქცია, რომელზედაც გაზრდილი მოთხოვნილებაა და რომელიც შეიძლება ადვილად გაიცვალოს ჩვენთვის აუცილებელ პროდუქციაზე. ამ პრობლემის გადაწყვეტა შემდეგნაირად შეიძლება: თუ ციტრუსმწარმოებელ გლეხებს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ციტრუსის ნაწილის სანაცვლოდ მივაწოდებთ მათთვის აუცილებელ საქონელს, ან მივცემთ საგარანტიო ტალონებს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ მისცემს გლეხებს საშუალებას შეიძინონ ესა თუ ის დეფიციტური ნივთი, მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მთლიანად ჩააბარებენ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეულ მოსავალს სახელმწიფოს. აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი. გაცვლით ოპერაციებს ციტრუსების მეშვეობით ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ თვით ციტრუსმწარმოებელ გლეხებს შემოტანილი საქონლიდან თითქმის არაფერი რგებიათ. ამიტომ მათთვის მყარი გარანტიების მიცემას დიდი მნიშვნელობა ექნება.

იძულების გზით გლეხების მიერ თავიანთი კუთვნილი პროდუქციის სახელმწიფოზე მიყიდვის პრაქტიკა გაუმართლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წლების განმავლობაში ქართული სოფლისათვის ძირის გამოთხრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ცენტრისათვის იყო სახელმწიფო მონოპოლია ჩვენი გლეხების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე და მისი თითქმის მუქთად მითვისება, ამიტომ ასეთი მდგომარეობის ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნება უარყოფითად განაწყობს გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს ახალი ხელისუფლებისადმი. ამ ვითარების გათვალისწინებით, მოახლოებული მუნიციპალური არჩევნების წინ დასავლეთ საქართველოს (მათ შორის აფხაზეთის ქართველი და არაქართველი) ციტრუსმწარმოებელი რაიონების ნახევარმილიონიანი მოსახლეობის სწორი პოლიტიკური ორიენტაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება ციტრუსმწარმოებელი გლეხების მიერ მათი კუთვნილი პროდუქციის რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტას.

**ნუგზარ ჩხაიძე,**
**საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა გაზეთებიდან

# ინტელიგენციის ხმა

ჩვენ, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, მივმართავთ ყველას, ვინც კი გვიცნობს, კითხულობს ჩვენს ნაწერებს, უსმენს ჩვენს მუსიკას და უყურებს ჩვენს სპექტაკლებსა და ფილმებს.

ჩვენ ყველას გვსურდა, ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებამდე მიგვეღწია, ბოლომდე ამის რწმენა არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, გვქონდა იმედი და ისიც დავკარგეთ. ახლა რა ხდება: ოთხმოცდახუთი წლის აპრილში, მოსკოვში დაწყებული გარდაქმნა 13 იანვრის ღამეს ვილნიუსში დახვრიტეს. მთელი ამ დროის მანძილზე ჩვენ მხარს ვუჭერდით პრეზიდენტს, ზოგჯერ თვალსაც ვხუჭავდით მის არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე. ვიმედოვნებდით, რომ ის დემოკრატიის ბურჯი და პრეზიდენტის ფიცის ერთგული იქნებოდა. მაგრამ ვილნიუსში მომხდარი დანაშაული არ გაუკიცხავს პრეზიდენტს და სსრკ უმაღლეს საბჭოს. ახლა თავს ველარ მოვიტყუებთ. გადატრიალება უკვე დაიწყო და თუ ის წარმატებებით დასრულდა, ჩვენ კვლავ გველის ბანაკები, რეპრესიები, შიში, შიმშილი, ნგრევა. და არა მარტო ეს — ჩვენი ქვეყანა კვლავ გამოეყოფა კაცობრიობას რკინის ფარდით და მთელი მსოფლიოსათვის ბირთვული საფრთხობელა გახდება.

რა მოვიმოქმედოთ?

ამ დრამატულ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტი და უმაღლესი საბჭო ღალატობენ დემოკრატიას, მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ხალხის მიერ არჩეულ რესპუბლიკების კანონიერ პარლამენტებსა და მთავრობებს. ისინი დაუცველნი არიან, მათ არ ჰყავთ არმია და სუკი. მათ მხოლოდ ხალხის ძლიერი მხარდაჭერა შემატებთ ძალას სუვერენიტეტისა და კანონიერების დასაცავად. რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნება ხიშტებითა და ტანკებით შეუძლებელია.

მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ მძლავრ დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელიც წინ აღუდგება მოახლოებულ დიქტატურას.

მოგიწოდებთ, თავდაპირველად მივაღწიოთ დამსჯელი ჯარის გამოყვანას ბალტიისპირეთიდან!

ი. ანდრეევა, ხ. არანოვიჩი, ე. არტემიევი, ი. აფანასიევი, ბ. ახმადულინა, ა. ბიტოვი ი. ბირიუკოვი, ო. ბორისოვი, ლ. ვავაკინი, ა. ვაქსბერგი, ბ. ვასილიევი, ვ. ვასილიევი, ი. ვინოგრადოვი, ა. გელმანი, ი. გელეინი, ზ. გერდტი, ა. გერმანი, გ. გლადკოვი, მ. გლუზსკი, ი. გნედოვსკი, ს. გოვორუხინი, ბ. გოლოვნია, გ. გორინი, ა. გრებნიოვი, ი. დავიდოვი, გ. დანელია, ვ. დაშკევიჩი, ლ. დოდინი, დ. დოლინინი, ლ. დუროვი, ვლ. ეგერიოვი, ა. ემელიანოვი, ვ. ეროფეევი, რ. იბრაგიმბეკოვი, ალ. ივანოვი, ფ. ისკანდერი, ს. კალედინი, გ. ყანჩელი, ს. კარმალიტა, ლ. კარბინსკი, გ კასპაროვი, ი. კიმი, ი. კლეპიკოვი, ე. კლიმოვი, ე. კოლმანოვსკი, ვ. კორნილოვი, ი. კოსტიუკოვსკი, ე. კრილატოვი, ა. კურჩატკინი, ა. კუშნერი, კ. ლავრენტიევი, კ. ლავროვი, ე. ლოტიანუ, ვ. ლუნინი, ვ. მაკანინი, ე. მაქსიმოვა, ი. მახლენიკოვი, ბ. მესერერი, ე. მირზოიანი, ნ. მორდიუკოვა, ი. მორიცი, მ. პოლტორანინი, ი. ნიკულინი, ფ. ნოვიკოვი, მ. ორესოვი გ. პანფილოვი, ა. პეტროვი, ლ. პეტრუშევსკაია, ვ. პიჩული, ი. პლატონოვი, ა. პლახოვი, ა. შნიტკე, ი. პოლიაკოვი, ე. პოპოვი, ო. პოპცოვი, ა. რაზუმოვსკი, ე. რეინი, ე. როზანოვი ი.. როსტი, ი. რიჟოვი, ს. რიაბჩენკო, ე. რიაზანოვი, ი. რიაშენცევი, ი. საულსკი, ა სვობოდინი, ე. სიდოროვი, ა. სიმონოვი, ს. სლომინსკი, ა. სმირნოვი, ა. სოკუროვი, ს. სოლოვიოვი, ა. ტკაჩენკო, პ. ტოდოროვსკი, მ. ულიანოვი, ს. ფიოდოროვი, ლ. ფედოსეევა-შუქშინა, ლ. ფილაევი, ს. ხაჯიევი, ტ. ხრენიკოვი, დ. ხუდონაზაროვი, კ. წერეთელი, ლ. ჩუკოვსკაია, ი. ჩურიკოვა, ო. ჩუხონცევი, გ. ჩუხრაი, დ. შახოვსკოი, ე. შენგელაია, რ. შჩედრინი, ი. შჩერბაკი, ი. შჩეკოჩიხინი, კ. შჩერბაკოვი, ი. ედლისი, ე. იაკოვლევი, ო. იანკოვსკი, მ. ტარივერდიევი.

●

თანამოქალაქეებისადმი მიმართვის ტექსტი შედგენილია კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა შეკრებაზე სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირში, 1991 წლის 16 იანვარს.

„არგუმენტი ი ფაკტი“ № 3, 1991 წ.



**მოქალაქეთა საყურადღებოდ!**

ფირმა „ჰუმანიზმი“ შრომითი ხელშეკრულებით მუდმივ სამუშაოზე იწვევს:

მდივან-მემანქანეს 1 საშუალო ერთეული, რეგისტრატორს 2 ს/ე, იურისტს 1 ს/ე, მენეჯერს 2 ს/, კადრების ინსპექტორს 1 ს/ე, ექიმ თერაპევტს 1 ს/ე, ფოტოთერაპევტს 1 ს/ე, თანაშემწეს 1 ს/ე, რეფერენტს 1 ს/ე, ბუღალტერს 1 ს/ე. მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს ფირმის წარმომადგენლობაში. **მისამართი: ლერმონტოვის ქ. № 19, თავისუფლების მოედანთან ტ. 93-20-76.**

**ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და მოქალაქეთა საყურადღებოდ**

ფირმა „ჰუმანიზმი“ ადმინისტრაციული და კომერციული საქმიანობისთვის არენდით აიღებს ან იქირავებს იზოლირებულ, კეთილმოწყობილ ფართს, ტელეფონით ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. დარეკეთ ტელეფონით 93-20-76.



# წერილები რედაქციას

ამ წერილს სოჭის რაიონის სოფელ პლასტუნკის ქართველების სახელით გწერთ. მიუხედავად ჩვენი სამშობლოს — საქართველოს ესოდენ მძიმე მდგომარეობისა, მაინც მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ ქართველებსაც გამოგვიწოდოთ დახმარების ხელი. სოფელ პლასტუნკის ქართველებმა გადავწყვიტეთ სოფელში წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის აშენება და საამისოდ სპეციალური ანგარიშიც გავხსენით, სადაც უკვე შემოვიდა პირველი შემოწირულობა. მაგრამ ეს თანხა ჯერჯერობით ძალზე მცირეა და, ალბათ, თქვენი დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებით. ამიტომ გთხოვთ, ქართველებო, გამოგვიწოდეთ დახმარების ხელი ამ წმინდა საქმეში. წინასწარ გიხდით მადლობას და გაცნობებთ ჩვენი ანგარიშის ნომერს — **000701904, სოჭის ბინსოცბანკი.**

**პლასტუნკელი ქართველების სახელით**

**გრიგოლ გოცირიძე**

გვყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, ხუთსულიანი ოჯახი ვცხოვრობდით 16 კვადრატული მეტრი ფართის ნაქირავებ ბინაში. ძალიან გავწვალდით, ბინის პირობების გაუმჯობესებისათვის და ალბათ, კიდევ დიდხანს ვიწვალებდით რომ არ ყოფილიყო ჩუღურეთის რაიონის მრგვალი მაგიდის წარმომადგენელი ვეფხია შუბითიძე, რომელმაც დიდი კეთილშობილება და ყურადღება გამოიჩინა ჩვენი ოჯახის მიმართ.

გვინდა, ვისარგებლოთ თქვენი გაზეთით და ულრმესი მადლობა მოვახსენოთ ბატონ ვეფხიას დიდი გულისხმიერებისათვის და ადამიანობისათვის, რომლის წყალობით ამდენი ხნის ტანჯვა დაგვისრულდა.

**ტარიელ და ნარგიზა სილაგაძეები**

**თბილისი**

# ვილნიუსი, ლიტვის საჯაროდ პოეტს იუსტინას მარცინკიავიჩუსს

ძმაო იუსტინას, პირველად ამ ოცი წლის წინათ შენს დიდებულ ოჯახში გახარებული ვუჯექი სუფრას და სავსე ვიყავი თქვენებური მასპინძლობით, შემდეგაც ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს... ლიტვაში და საქართველოში, მიუხედავად ბნელი დროისა, მაინც ბრწყინავდა დიდი გული სიყვარულისა, გული გულუბრყვილობითა და მილიონი ისრით დაჭრილი...

გაჭირვების დროს, გულგრილი ადამიანები სტოვებენ „ჭეშმარიტებას მოკლებულ სინამდვილეს“ და მყუდროების ბნელ საკანში ჩაიკეტებიან ხოლმე...

მე გაგახსენებ რამდენიმე სტრიქონს შენივე პოემიდან:

**„დახატე კედლის**
**პრიალა პირზე**
**ვეება ხახა, მხეცის, რომელიც**
**შიშია შენი,**
**ანდა გახწიე, შეხვდი**
**პირისპირ**
**და მოჰკალ იგი.**

ისევე, როგორც შენ, მეც მშვენივრად ვიცი, რომელ მხეცზეცაა ლაპარაკი.

უჭირს დღეს შენს სამშობლოს, ესე იგი, რაღა თქმა უნდა, გიჭირს შენც.

მართალი გითხრა, მეგონა, რომ საქართველოს სისხლიანი 9 აპრილი შენს სამშობლოს გადაარჩენდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ის გულუბრყვილობა რომელიც შემოქმედის წილხვედრია, სისასტიკით სავსე დიდი პოლიტიკის გულში არ ჩაგახედებს.

ახლა რა გითხრა? რით გითანაგრძნო? იქნებ იმით, რომ მეც შენს დღეში ვარ?

მინდა გჯეროდეს, ისე, როგორც შენი სისხლიც იღვრებოდა (პოეტის სისხლი) ცხრა აპრილს ჩვენთან, თბილისში, ასევე დაიღვარა ჩემი სისხლი ვილნიუსში 12 იანვრის საშინელ ღამეს.

„თუმც ავტომატის ცხელმა ტყვიებმა გადირბინეს დიდი კედელი, მაინც გჯეროდეს, რომ კიდევ უფრო დიდი იმედი გამოჩნდა, ლიტვაში დაღვრილი სისხლის ბოლო წვეთით წერტილი დაესვა ფარისეველთა და ნიღბიანთა „პერესტროიკას“.

უნდა ვირწმუნოთ, რომ მომავალი დემოკრატიისაა... ამ სისხლიან დღეებში ვდგავარ რა შენს გვერდით, ისევ შენს წიგნს ვფურცლავ და ვკითხულობ ძვირფას სტრიქონებს...

**„განთიადისას**
**ვარდის წყალი გადისხა დილამ,**
**გამოიღვიძა ბუნებამ და**
**ათასი ჩიტი**
**შემოაფრინა**
**სიყვარულის ფერად მეჯლისზე...**
**აფსუს,**
**სამყარომ ეძინა ისე,**
**რომ ვერ ხედავდა იმ საოცრებას,**
**რომელიც, ალბათ,**
**ერთხელ ხდება წუთისოფელში,**
**რომელსაც ჰქვია გამოღვიძება,**

ძმაო იუსტინას, ისინი რასაც დამონებას ეძახიან, ჩვენ ხომ ვიცით, რომ გამოღვიძება ჰქვია? დიახ, გამოღვიძება.

გაუმარჯოს თავისუფალ ლიტვას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

**„მწუხარებისგან გამოთლილო**
**ჩვენო დედებო,**
**უბრალოებო და სათნოებო,**
**მოლოდინის შიშით გამშრალნო,**
**ვაი, უდროოდ დარჩენილნო**
**დროშის ტარებო,**
**ბრძოლა გრძელდება,**
**გავიმარჯვებთ და**
**ნაწილი მთელს დაუბრუნდება!“**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

# ვლადიმერ ლობჟანიძე



ვეძებთ სიტყვას, რომელიც ახალგაზრდა ჭაბუკის, უშიშარი მებრძოლის, მშობლების ერთადერთი შვილის, ობლად დატოვებული ერთი წლის პირმშოს მამის — ვლადიმერ ლობჟანიძის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს გამოხატავს და ვერ გვიპოვია, თუმცა მისი ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული ტკივილი ყველას საკმაოდ გვაქვს. განუზომელია მათი მწუხარება, ვინც ამ ვაჟკაცს იცნობდა, მასთან სწავლობდა, მის გვერდით ცხოვრობდა და მასთან იდგა საბრძოლო საგუშაგოზე.

ვლადიმერ ლობჟანიძე დაიბადა 1965 წელს თბილისში. 1971 წელს იგი სასწავლებლად შედის თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში, 8 კლასის დამთავრების შემდეგ ირიცხება მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქარხანა „ზარიაში“ ხარატად. 1986 წელს იმავე სპეციალობით იწყებს მუშაობას თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანში“. აქ გამოვლინდა მისი მიდრეკილება სპორტისადმი, განსაკუთრებით კი ჰიდაობა „ძიუდოსადმი“. ქარხნის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით ვ. ლობჟანიძე სამუშაოდ იგზავნება თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისტემაში, სადაც მას ნიშნავენ სახელმწიფო დაწესებულებების დაცვის პოლკში რიგით მილიციონერად. 1987 წელს ვ. ლობჟანიძე წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და ირიცხება სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა და ცოდნასმოწყურებულმა მსმენელმა, სპორტსა და მუსიკაზე შეყვარებულმა ვაჟკაცმა. სწავლაში მუდამ ჰქონდა მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, სანიმუშო დისციპლინის, სიმამაცისა და ოპერატიულობის გამოჩენისათვის ვ. ლობჟანიძე მრავალჯერ წაახალისეს.

ვ. ლობჟანიძე მილიციის უმაღლეს სკოლაში გამოირჩეოდა როგორც ალალი გულის ადამიანი, კეთილსინდისიერი და პატიოსანი. მრავალშვილიანობაზე ფიქრობდა, დედისერთა ვარ და ჩემზე საცოდავი არა მგონია ვინმე იყოს საქართველოშიო — იტყოდა ხოლმე. საუბედუროდ, ცხინვალში დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველა ოცნება შეუსრულებელი დაუტოვა საქართველოს ეროვნული მილიციის ღირსეულ წარმომადგენელს ვლადიმერ ლობჟანიძეს, რომლის პროფესიონალ თანამშრომლად ჩამოყალიბებაზე დიდი იმედი ჰქონდათ სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს.

ვლადიმერ ლობჟანიძის ნათელი სახე მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის კოლექტივი.**





[illegible] ნახატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლიოთეკა ერის სულიერი სიმდიდრეა

**ახალმა** დრომ ახალი სახელები მოიტანა. ბევრ კარსა და ბევრ კედელზე გაჩნდა ახალი წარწერა, რაც იმის მომასწავებელია, რომ მალე ახალი სახელის ქვეშ ახლებური ცხოვრებაც დაიწყება. სხვაგვარად არაფრისთვის არა აქვს აზრი სახელის შეცვლას. ერთ-ერთ ასეთ „სახელშეცვლილ“ ორგანიზაციას განეკუთვნება ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც სრულიად სამართლიანად საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ეწოდა. როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, ეს არის ჩვენი ეროვნული წიგნთსაცავი. რაც არ უნდა მდიდარი საშინაო ბიბლიოთეკა გვქონდეს, თუ გონებრივი მუშაობა გვხვდა წილად, აქ მოსვლა აუცილებლად მოგვიხდება. სასიამოვნო სიახლეა, რომ ამ ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილებამ მშვენიერი დარბაზები მიიღო (ყოფილი ფინანსთა სამინისტროს შენობაში), აქ ნამდვილად არ ითქმის სამდურავი პირობების შესახებ, ჯერჯერობით მაინც. შენიშვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ გადასვლის დროს თუ ჩვენგან უცნობი მიზეზების გამო ზოგიერთი წიგნი, საჭირო და არცთუ ისე ხელმიუწვდომელი, დაიკარგა, ეს წიგნები სასწრაფოდ უნდა აღვადგინოთ, ქსეროკოპირების ანდა სხვა რაიმე სახით. საერთოდ, კარგი იქნებოდა, თუ გადაისინჯებოდა მთელი საჯარო ბიბლიოთეკის ფონდები, შეივსებოდა ისინი საჭირო მასალებით, ისე, რომ ამა თუ იმ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დასჭირდეს სხვა ქალაქში გამგზავრება რომელიმე წიგნის ან ჟურნალის მოსაძებნად. კარგი იქნებოდა, აგრეთვე, თუ ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად მომარაგდებოდა უცხოეთში გამოსული ჩვენთვის საჭირო ჟურნალ-გაზეთებით, ყველაზე ელემენტარულით მაინც. ბევრი კეთილი სურვილი და აზრი შეიძლება შევაწიოთ განახლების გზაზე დამდგარ ამ ორგანიზაციას, მაგრამ ჯერჯერობით მათი რეალურად განხორციელების ვერავითარ გზას პირადად მე ვერ ვხედავ. ოცნება ოცნებად დარჩეს და — რეალურად კი ასეთი სურათია — ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და სამუშაო პირობებიც კი აკლია. რამდენიმე თვეა, სამეცნიერო დარბაზში შეფერხებულია ქართული წიგნთსაცავიდან წიგნების მოწოდება, ვინაიდან ლიფტი არ მუშაობს და როგორც ეს მომსახურე პერსონალმა განაცხადა, კიდევ დიდხანს არ იმუშავებს. ეს, რბილად რომ ვთქვათ, აფერხებს ჩვენი მეცნიერ-თანამშრომლების თუ სხვა მკითხველების საქმიანობას. ამავე დროს, მოძველებულია სკამები და მაგიდები, ბევრ დარბაზში არ ვარგა განათება. მე ნამყოფი ვარ ტარტუს საჯარო ბიბლიოთეკაში, რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი, დარბაზებში დგას სპეციალური მაგიდები, სადაც მკითხველებს აქვთ იზოლაციის საშუალება, ასევე — არის ცალკე კაბინეტები, სადაც განსაკუთრებული გონებრივი დაძაბულობით მომუშავე მეცნიერებს შეეძლებათ განმარტოება, რომ მუშაობაში ხელი არ შეეშალოთ. კარგი იქნებოდა, თუ საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები, უშუალოდ კი საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ტარტუელი კოლეგების გამოცდილებას გაიზიარებდნენ. ეს ჩვენ ძალიან გამოგვადგებოდა.

მცირე საყვედური უნდა ითქვას ზოგიერთი მკითხველის მიმართ: ისინი პირადი მიზნებიდან გამომდინარე (ხანდახან — უმიზნოდაც) ჭრიან და ანადგურებენ ჟურნალ-გაზეთებს. ვისაც პრესის დარბაზში უმუშავია, იგი დამეთანხმება, რომ ხშირად შეხვდება გვერდნაკლული ან გვერდებდაჭრილი ჟურნალ-გაზეთები. ამ საკითხსაც უნდა მოვლა. რატომღაც გვგონია, რომ ეს ფაქტი ბიბლიოთეკაში მომსახურე ქალების სიმრავლითაც არის განპირობებული, ბიბლიოთეკას აშკარად აკლია კაცის ხელი... იქნებ სათანადო განათლება ვისაც მიუღია, და ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი თუ განყოფილება დაუმთავრებია, იმათაც იფიქრონ აღნიშნულ საკითხებზე. მოუარო ეროვნულ ბიბლიოთეკას — რა უნდა იყოს ამაზე დიდი ეროვნული საქმე? მე მგონი, დადგა დრო, როდესაც კონკრეტულად უნდა გვიყვარდეს საქართველო და არა — აბსტრაქტული განცხადებებით. ყველა რომ ერთგულად და უანგაროდ ემსახუროს იმ პროფესიას, რის შესწავლასაც წლები შესწირა, ალბათ შედეგიც მალე გამოჩნდება. ადრე თუ ტოტალიტარული რეჟიმი გვიშლიდა ხელს, ახლა რა გვიშლის?

ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკა ჩვენი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა. ყოველი მკითხველის არაპირდაპირი თუ უშუალო მოვალეობაა, იზრუნოს მასზე და თუ მომსახურე პერსონალს რაიმეში დახმარება დასჭირდება, ყველა მხარში უნდა ამოუდგეს. ერმა თავის ეროვნულ ბიბლიოთეკას უნდა მოუაროს.

სამწუხაროდ, მე არ ვიცი, რა მდგომარეობაშია სხვა ბიბლიოთეკები. ვიცი მხოლოდ ის, რომ აკადემიის ბიბლიოთეკაში, სადაც სამუშაო პირობებს არა უშავს, ხშირად არ დევს ადგილზე საბიბლიოთეკო გაუცემელი ეგზემპლარიც კი. წიგნს აქვს სამი და მეტი ნომერი, რომელიც გაიცემა, მაგრამ არის ერთადერთი ეგზემპლარი, რომლის გაცემაც შეუძლებელია, იგი მხოლოდ დარბაზში უნდა გაიცეს. სამწუხაროდ, ასეთი ეგზემპლარებიც არ არის ადგილზე. ჩვენ გვესმის, რომ საქართველოში ძნელია ნაცნობ-მეგობრებისათვის რამეზე უარის თქმა, მაგრამ იქნებ მათთვის სამსახურის გაწევა ისე მოვახერხოთ, რომ სხვა მკითხველებს საქმე არ გავუფუჭოთ? ან ერთი ღამით ვათხოვოთ საჭირო წიგნი, ისე რომ დილით დარბაზში გასაცემად იდოს ადგილზე, ან სხვა რამე მოვიფიქროთ. არ მინდა, მკაცრი და უგულო გამოვჩნდე და ამას იმიტომ ვწერ, თორემ ძალიან კარგი იქნება, თუ საერთოდ არ ახლებენ ხელს დარბაზში გასაცემ ერთადერთ ეგზემპლარებს...

რატომღაც გვგონია, რომ საბიბლიოთეკო საქმიანობაში ყველაზე დიდი წვლილის შეტანა ჩვენს მწერლებს შეუძლიათ, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც სათანადო განათლება გააჩნია. ეს მეტად საპატიო საქმეა, ამავე დროს, საჭიროც. სიტყვამ მოიტანა და — მინდა დავსძინო, რომ თუ მწერალი პროფესიით არ არის ლიტერატორი, მისი ლიტერატურულ ორგანოებში მუშაობაც არ არის აუცილებელი. მოგეხსენებათ, ჩეხოვი ექიმი იყო, ილია ჭავჭავაძე — იურისტი, ფოლკნერი — უბრალო მუშა და ა. შ. მაგრამ არც ერთის სამწერლო შესაძლებლობებში არავის შეპარვია ეჭვი. პირიქით, განსხვავებულმა, არალიტერატურულ სამყაროში ტრიალმა გაამდიდრა მათი ნაწარმოებები, ცხოვრებას დაუახლოვა ისინი. ბევრჯერ გამიგია საყვედური მწერლების მიმართ, რომ ისინი არ წერენ რიგით მშრომელ ადამიანებზე ან — თუ წერენ, მეტად ზედაპირულად. ამაზე ადრე ასე პასუხობდნენ — მწერლობა დარგობრივი საქმიანობა არ არისო. კი ბატონო, მაგრამ თუ იურისტი იურისტად იმუშავებს, ეკონომისტი — ეკონომისტად, ინჟინერი — ინჟინრად და ასე შემდეგ, განა მისი ლიტერატურული მხედველობით დაჯილდოებული თვალი უფრო მეტს არ დაინახავს ცხოვრებაში და უფრო მეტს არ გადასცემს მკითხველს? განა აუცილებელია, ყველამ, ვინც მხატვრულ ლიტერატურას ქმნის, მაინცდამაინც ლიტერატურულ ორგანოებში იმუშაოს? განა საკუთარი სპეციალობით უფრო უკეთესად არ გააკეთებდნენ ეროვნულ საქმეს? ვისაც ლიტერატურული განათლება აქვს და სპეციალობით მუშაობს, იმან რა ქნას, თორემ შემოქმედებითი ფანტაზიის გასავითარებლად არალიტერატურულ გარემოში მუშაობა ბევრად უკეთესი უნდა იყოს. ეს — ისე, სიტყვამ მოიტანა და ვთქვი. შეუძლიათ, დამეთანხმონ, შეუძლიათ — არა!

აწ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ: ზემოთ მხოლოდ ეროვნული ბიბლიოთეკის გასაჭირზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბიბლიოთეკო საქმე ჩვენში აწყობილი და გამართული იყოს. მაგალითად, ძალიან საინტერესოა როგორაა ეს საქმე პერიფერიებში ან თუნდაც — საქართველოს დიდ ქალაქებში, იქ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში. აქვთ კი სტუდენტებს საშუალება, ისარგებლონ სასწავლებლის ბიბლიოთეკით? მახსოვს, ერთხელ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მომიხდა შესვლა და გაოცებული დავრჩი მისი სიღარიბით. ეს თუ თბილისში ხდება, რაღა იქნება სხვაგან? მთიან რაიონებში, სადაც გულახდილად რომ ვთქვათ, კულტურული ცხოვრება საერთოდ ჩამკვდარია და სადაც სულის სანუგეშებელი ერთადერთი საშუალება წიგნია, რა მდგომარეობაშია ბიბლიოთეკები და როგორ მუშაობენ იქ? იქნებ ბიბლიოთეკა გადაიქცეს კულტურული ცხოვრების კერად, გაამდიდროს ფონდები, ემსახუროს ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას, ახლა ბევრს ლაპარაკობენ ეკონომიურ კრიზისზე, შიმშილობაზე, სხვა მრავალ გასაჭირზე. განა უარესი არ იქნება, თუ ამას სულიერი კრიზისი და სულიერი შიმშილობაც დაერთვის თან? განა ცუდი იქნება, თუ იმ რაიონებში, სადაც არაქართული მოსახლეობა მრავლად არის, გავააქტიურებთ ბიბლიოთეკების ფუნქციას და ქართულ წიგნს წავაკითხებთ ყველას, ვისაც შეეძლება, საქართველო შეიყვაროს!

დავამთავრებ იმით, რითიც დავიწყე: ბიბლიოთეკა ერის სულიერი სიმდიდრის უდიდესი ნაწილია, სიმდიდრეს კი მოვლა უნდა, თორემ ნათქვამია, ცუდი შემნახავი ქურდზე უარესიაო.

**დალილა ბედიანიძე**

# ვინ იყო „ვინმე ღარიბი ქართველი,“ რომელმაც შორიდან აფეთქება აღმოაჩინა?

ორი ათეული წლის წინ, 1970 წლის თებერვლის ნომერში ჟურნალმა „იზობრეტატელ ი რაციონალიზატორმა“ გამოაქვეყნა სტატია „აფეთქება შორიდან“ (დასახელებული ჟურნალი, 1970 წ., № 2, ლ. ლვოვი, „ვზრივ ნა რასსტოიანიი“, გვ. 5-7, 36-37). სტატია მიძღვნილია ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი და ეხება საბჭოთა რუსეთში 1920 წელს შორიდან სამართავი აფეთქების წარუმატებელ ცდებს და ბოლოს ასეთი „იარაღის“ შექმნას ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, ნიჭიერი გამომგონებლის და შესანიშნავი ორგანიზატორის ვლადიმერ ივანეს ძე ბექაურის მიერ.

იმის მიუხედავად, რომ სტატიის ზოგიერთი მომენტი ავტორის ფანტაზიის ნაყოფად მიგვაჩნია, ის მაინც შეიცავს ძალზე საინტერესო ცნობებს, რომელთაგანაც ყველაზე საგულისხმოდ მიგვაჩნია ამბავი მცხეთის მთებში 1919 წლის შემოდგომაზე „ქართველი მენშევიკების მიერ ახალი იარაღის — შორიდან აფეთქების“ გამოცდის შესახებ. ამ ცნობის დადასტურება საარქივო მასალით დღემდე არ მოხერხდა, არადა ის მოგონილ ამბავს არ ჰგავს.

მოგვყავს სტატიის ერთი მონაკვეთი მთლიანად:

„...1919 წლის შემოდგომაზე ლენინის კრემლის კაბინეტში შევიდა სტალინი და მოახსენა, რომ ხმების მიხედვით, თბილისში მენშევიკებმა ეს-ეს არის გამოსცადეს ახალი იარაღი — აფეთქება შორიდან. თი [illegible] ებში თვითონ სამხედრო მინისტრი გიორგაძე ხელით უჩვენებდა საით ესროლათ და იმწუთსვე — არ იყო არც ზარბაზნები, არც თვითმფრინავები! — მიწა კი ფეთქდებოდა, ცაში იტყორცნებოდა ქვები. გრგვინავდა აფეთქება. ეს აღმოაჩინა ვინმე ღარიბმა ქართველმა. ახლა მისი წაყვანა უნდათ კრეისერით ინგლისში, საშინელ იარაღს კი გამოიყენებენ სომხების წინააღმდეგ და თუ დასჭირდებათ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. მაგრამ, კავკასიაში ერთგულმა ადამიანებმა უკვე იპოვეს კაცი, რომელმაც იცის ყველა საიდუმლოება. მისი გვარია ბოტინი და გაზაფხულისათვის მას საზღვარზე გავლით ჩამოიყვანენ მოსკოვში“.

სამწუხაროდ ავტორი არ ასახელებს გამოყენებულ წყაროს. ის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მალე გარდაიცვალა, ხოლო მისი დოსიე ფართობის სივიწროვის გამო არ შეუნახავთ არც სახლში და არც ჟურნალის რედაქციაში.

ყურადღებას იქცევს თვით ფაქტი ს. ბოტინის მიყვანისა ვ. ი. ლენინთან, მისი უაღრესი დაინტერესება მცხეთის მთებში ახალი იარაღის გამოცდის შესახებ ინფორმაციით, რის გამოც ბოტინს შეუქმნეს ყველა პირობა გაემეორებინა „ტიფლისსკიე ოპიტი“. ეს სიტყვები ლენინს ეკუთვნის და რამდენჯერმე გამეორებული ბოტინთან და მის შესახებ ლენინის წერილებში (ტ. 51, გვ.: 209-210, 234, 268-269, 302-303, 429 და სხვ.).

ეს გვაფიქრებინებს, რომ ცნობა მცხეთის მთებში ახალი იარაღის გამოცდის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული.

ეს ცნობა სხვა კითხვებსაც აღძრავს: რას წარმოადგენდა ეს ახალი იარაღი? ვინ იყო მისი გამომგონებელი „ვინმე ღარიბი ქართველი“? რა ბედი ეწია მას და მის გამოგონებას? რომელ წელს განხორციელდა გამოგონება? მართლაც ჰქონდა რაიმე დამოკიდებულება ამ გამოგონებასთან ვ. ი. ბექაურს, როგორც ამას ვ. ლვოვი ფიქრობს?

ძნელია იმის თქმა, როდის მოხერხდება ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემა. ჯერჯერობით კი შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა.

ვ. ი. ლენინის დიდი ყურადღება ბოტინისადმი, რათა მას გაემეორებინა „ტიფლისსკიე ოპიტი“ და შემდეგ ვ. ი. ბექაურისადმი, რათა მას განეხორციელებინა თავისი სამხედრო გამოგონებები, უნდა გავიგოთ მისი უაღრესი დაინტერესებით ძლიერი იარაღის შექმნით, ვიდრე გამომგონებლებზე ზრუნვით, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს.

მცხეთის მთებში ახალი იარაღის გამოცდის პერიოდში (1919 წ) ვ. ი. ბექაური პეტროგრადში ცხოვრობდა და ის, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი რსფსრ მთავრობასთან, შეიძლებოდა მხოლოდ ინფორმირებული ყოფილიყო ამ იარაღის გამოცდის შესახებ (ვ. ი. ბექაურს ცნობა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის შესახებ წარუდგენია პეტროგრადში ჩაწერისას).

არ არის სწორი ვ. ლვოვის და ზოგიერთი სხვა ავტორის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ვ. ი. ბექაურის მიერ 1920 წლის პირველ ნახევარში წარდგენილი გამოგონება — გადაღობვის ნაღმი რადიოთი სამართავი სახმელეთო ნაღმი ყოფილიყოს და მას რაიმე კავშირი ჰქონოდა მცხეთის მთებში გამოცდილ იარაღთან. გადაღობვის ნაღმი იყო საზღვაო იარაღი, იგი თვითმოძრავი იყო და არა რადიოთი სამართავი. ვ. ი. ბექაურისა და ვ. თ. მიტკევიჩის მიერ გამოგონებული რადიოთი სამართავი სახმელეთო ნაღმი სულ სხვა იარაღი იყო. იგი შემდეგდროინდელია და პირველად 1925 წელს იქნა გამოცდილი ლენინგრადის სანიჩბოსნო ნავსადგურში.

ვ. ი. ბექაურს „ტიფლისსკიე ოპიტისა“ და ბოტინის წარუმატებელი ცდების შესახებ ინფორმაცია ვ. ი. ლენინისა და ნ. გორბუნოვისაგან უნდა მიეღო მათთან შეხვედრის დროს. მათგანვე უნდა მიეღო მას დავალება რადიოთი სამართავი იარაღის შექმნის შესახებ, მით უმეტეს, რომ ვ. ი. ბექაურმა მათ ბგერით სამართავი ნათურებიანი ხელსაწყო წარუდგინა (ხელსაწყოს ლურჯი და წითელი ნათურები ინთებოდა და ქრებოდა გამომგონებლის სიტყვიერი ბრძანებით).

ცნობილია რომ, ვ. ი. ბექაურმა ეს დავალება წარმატებით შეასრულა და როგორც უკვე ითქვა, რადიონაღმები 1925 წელს იქნა გამოცდილი (ამ ნაღმებს წარმატებით იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე).

უფრო კატეგორიული ვარაუდი შეიძლება გამოითქვას იმის შესახებ, თუ როდის შეიძლებოდა გამოეგონებინა „ვინმე ღარიბ ქართველს“ შორიდან აფეთქების იარაღი. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ე. ი. 1917 წლის თებერვალსა და 1919 წლის შემოდგომას შორის პერიოდში. რა გვაძლევს ამ ვარაუდის უფლებას? საქმე ის არის, რომ რუსეთში ნიკოლოზ II-ის მეთაურობით შექმნილი იყო კომისია, რომელიც კონტროლს უწევდა, რომ ქვეყანაში არავის შეექმნა ძლიერი იარაღი. კონტროლი იმდენად მკაცრი და ულმობელი იყო, რომ 1903 წლის ზაფხულში აფეთქების მძლავრი ტალღის შორ მანძილზე გადაცემის გამომგონებელი პროფესორი მ. მ. ფილიპოვი თავის ლაბორატორიაში ნახეს მკვდარი „გულის დამბლით“, ხოლო მისი ქაღალდები მთლიანად გააქრეს, რასაც ნიკოლოზ II და მის კომისიას მიაწერენ. ამიტომ „ვინმე ღარიბი ქართველის“ გამოგონება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მეფის ხელისუფლების დროს. აღნიშნულ საკითხებზე საარქივო მასალების მოპოვებამდე ზუსტი პასუხის გაცემის საშუალებას მოკლებული ვართ.

იქნებ მცხეთის მთებში გამოცდილი იარაღის შესახებ ცნობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელ საზღვარგარეთის არქივებში დაცულ მასალებში აღმოჩნდეს? ან იქნებ იმდროინდელმა ემიგრანტმა ქართველებმა შემოინახეს ამის შესახებ მოგონებები?

კარგი იქნება თუ ჩვენი მეცნიერი მკვლევარები საზღვარგარეთ არქივებში მუშაობისა და ემიგრანტ ქართველებთან შეხვედრების დროს აღნიშნულ საკითხსაც მიაქცევენ ყურადღებას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელ კიდევ ერთ დიდ წარმატებას მოჰფენენ შუქს.

**იოსებ ბექაური,**
პერსონალური პენსიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

## წერილი მეორე

# შიდა ქართლი

## სახელწოდებისა და საზღვრების საკითხისათვის




შიდა ქართლს თავისი ცენტრალური გეოგრაფიული მდებარეობის გამო განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. შიდა ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა და ეკონომიკურმა პირობებმა განსაზღვრეს მისი როლი საქართველოს ისტორიაში. მის ტერიტორიაზე ხდება ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ხოლო შუა საუკუნეებში მის ირგვლივ მიმდინარეობს საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიად წარმოქმნის პროცესი.

ისტორიული ქართლი გეოგრაფიული მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის — მტკვრის მიხედვით ზემო, შუა და ქვემო ქართლად იყო დანაწილებული. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობების მიხედვით, შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას „ტფილისიდან და არაგვითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარავნამდე“ (ქართლის ცხოვრება, 1, 24).

ლეონტი მროველისეული ეს განსაზღვრა დაედო საფუძვლად შიდა ქართლის შესახებ წარმოდგენას გვიანდელ წყაროებში.

ლეონტისავე განსაზღვრით, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება ყოფილა ზენა სოფელი. „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მცხეთოსისსა მცხეთას და ეპყრა ქვეყანა არაგვითაგან და ტფილისიდგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარავნამდე. და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, და კასპი, არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკარამდე (თანამედროვე ტაშისკარი ქვიშხეთთან — ჯ. გ.) უწოდა ამას ქუეყანასა ზენა — სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი“ (ქცა, I, 10).

ამ ადგილის მიხედვით შიდა ქართლის მნიშვნელობა უფრო დავიწროებულია, აღმოსავლეთ საზღვრად არაგვი-არმაზია, არაგვი-ტფილისის ხაცვლად. აქ ტფილისი-არაგვი უფლოსის მთელი სამფლობელოს საზღვრად ჩანს. გამოდის, რომ შიდა ქართლი უფლოსის სამფლობელოს მხოლოდ ნაწილს შეადგენს, მით უმეტეს, რომ უფლოსის მამულის სამხრეთი საზღვარი — ფარავანი ზენა სოფლისათვის (ანუ შიდა ქართლისათვის) აღარაა აღნიშნული. უფლისციხის, ურბნისისა და კასპის ამ ადგილას მოხსენიება ეჭვს არ ტოვებს, რომ ზენა სოფელი (შიდა ქართლი) უსათუოდ გულისხმობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ანუ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას. ამ აზრის სასარგებლოდ მიუთითებს „მეფეთა ცხოვრების“-ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მეფე ადერკის მიერ შვილებისათვის ქვეყნის გაყოფაზე: „(ადერკმა) მისცა ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხრანით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ქართამს ძესა თვისსა“. აქ „შიდა ქართლი“ მტკუარსა ჩრდილოეთით ყოველი ქართლია და დაპირისპირებულია „მტკუარსა სამხრით ქართლისადმი“.

მართალია, ლეონტი მროველი პირდაპირ არ უთითებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვარს, მაგრამ ასეთად იგულისხმება კავკასიონის ქედი, რამდენადაც თარგამოსიანთა წილხვდომილი ქვეყნის ჩრდილო საზღვარი ლეონტი მროველის მიხედვით კავკასიონის ქედი იყო (ქცა, I, 4).

ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იბერიის და, მაშასადამე, შიდა ქართლის (სტრაბონისეული „შუა იბერია“) ჩრდილოეთ საზღვრად მიიჩნევს კავკასიონის ქედს. იგი წერს: „ხოლო ეს მთა (კავკასიონი) მდებარეობს ორივე ზღვის ბოლოს, როგორც პონტოსი, ასევე კასპიისა, ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს ზღვებს. ეს მთა საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს... ზოგი ტოტი ამ მთისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის, შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს“ (სტრაბონი, XI, 2, 15).

მივმართოთ შედარებით გვიანი ხანის წყაროებსა და აღწერებს. მე-18 საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე შიდა ქართლში შედიან ხევი და დვალეთი (მდ. არდონის და მდ. ფიაგდონის სათავეები — დღ. ჩრდ. ოსეთის ასსრ), რომლებიც განლაგებულნი არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. დვალეთი რომ უძველესი დროიდანვე შედიოდა ქართლის სამეფოში, ეს კარგად ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობიდან, რომ „კარნი ოვსეთისნი“ და „ორნი (კარნი) დვალეთისა“ ქართლის სამეფოს ტერიტორიაა, რომელიც VI ს-ში სპარსელებმა დაიპყრეს.

გერმანელი აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში, პროვინცია შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედს აღნიშნავს.

განიხილავდა რა აღმ. საქართველოს უძველეს დანაწილებას, ს. ჯანაშია დაასკვნიდა, რომ ქართული და სომხური წყაროების „ზენა სოფელი“ (შემდეგდროინდელი „შიდა ქართლი“) ელინისტურ ხანაზე ადრეა წარმოშობილი.

1923 წელს ი. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ რუკაზე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს აწერია „ქვენა სოფელი“. ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავდა, რომ საფუძვლიანია ვარაუდი ქვემო ქართლს ძველ დროს „ქვენა სოფელი რქმეოდა“

ამრიგად, ამ მოსაზრებათა მიხედვით გამოდის, რომ აღმ. საქართველოს დაყოფა „ზენა სოფლად“ და სავარაუდო „ქვენა სოფლად“ ელინისტურ ხანაშივე მაინც უკვე მომხდარია.

ასეთი დაყოფა ისევ მთავარი მდინარის — მტკვრის მიხედვით უნდა მომხდარიყო. მტკვარი უნდა ყოფილიყო ამ ერთეულთა მიჯნა.

ეს დაპირისპირება უფრო მკვეთრად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი თხრობიდან ნეფეთა წყვილების შესახებ:

მეფეებად ისხდნენ: „არმაზს — ფარსმან და შიდა ქართლსა — კაოს“; „არმაზს — აზორკ და შიდა ქართლსა — არმაზელ“; „არმაზს — ამაზასპ და შიდა ქართლსა დეროკ“; „არმაზს — ფარსმან ქველი და შინა ქართლსა — მირდატ“ (ქცა, I, 44, 45, 50).

ახ. წ. II ს-ის 30-50-იან წლებში „არმაზელ მეფე“ ფარსმან ქველმა „მცხეთელი მეფე“ მითრიდატე დათრგუნა და თავისი ძუძუმტე სპასპეტი ფარსმანი „დაადგინა შიგა ქართლსა, ადგილსა მირდატისსა“ (ქცა, I, 51).

გ. მელიქიშვილის აზრით, „არმაზისა“ და „შიდა ქართლის“ დაპირისპირება უნდა გავიგოთ „მეფისა“ და „შიდა ქართლის მმართველ-სპასპეტის“ დაპირისპირების სახით. მტკვრის სამხრეთით (მდინარის მარჯვენა ნაპირზე) მდებარე მიწა-წყალი რჩებოდათ სპასპეტებს, ხოლო მეფეებს — მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია.

თუ გავიზიარებთ გ. მელიქიშვილის მოსაზრებას, მაშინ გამოდის, რომ არმაზის უფალს ფარსმან ქველს, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ ქართლის სპასპეტია, ჰყავს საკუთარი სპასპეტი ფარსმანი; იმისათვის, რომ ფარსმანი გამხდარიყო მთელი ქართლის სპასპეტი („ყოვლადვე იყვის სპასპეტი ქართლსა შინა“) საჭირო იყო მისთვის საგამგეოდ „შიგა ქართლის“ (მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის) მიცემა. მაშასადამე, ქართლის სპასპეტობა და



შიდა ქართლის ფლობა ურთიერთთან მჭიდრო კავშირშია.

„შიდა ქართლის“ უფრო ვრცელ მნიშვნელობას (სამხრეთის საზღვარი ფარვანამდე) ადრე შევეხეთ და, რა თქმა უნდა, მას ჰქონდა რეალური შინაარსი. მაგრამ ეს ტერმინი უსათუოდ მოიცავდა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას, გაღმა მხარე კი (მტკვრის სამხრეთი ქვეყანა) ზოგჯერ მისგან გამოირიცხებოდა.

„ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) ვიწროდ გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ჯუანშერთან დაცული ცნობა არჩილის მიერ სიძეებისათვის ქვეყნის გაყოფის შესახებ. არჩილმაო „ორთავ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“.

ამ ადგილის ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია ასკვნის, რომ ეს მროველის „შინა ქართლია“, მაგრამ ცოტაოდენ შემცირებული სახით: მასში არ შედის თრიალეთი, მანგლისის ხევი და თბილისი თავისი რაიონით, კლარჯეთი, ჯავახეთი, ტაშირი და აბოცი, ზერკი. ჩვენი აზრით, ჯუანშერის ამ ადგილზე დაყრდნობით მცხეთა და მისი მიდამოები არ უნდა იქნეს შიდა ქართლიდან გამორიცხული. ასევე გვგონია, რომ VII ს-ის სომხური გეოგრაფიის ზემო ქვეყნის (ვერინ აშხარჰ) ანუ ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი არაგვის აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა. აქ აშკარადაა თქმული, რომ „არაგვი... ერთვის მტკვარს და (ამით, ამრიგად) ამთავრებს ქართველების ზემო ქვეყანას“.

„ზენა სოფელი“ ვიწროდაა გაგებული, აგრეთვე, ასურელ მამათა ცხოვრებებში, რომელთა მონაცემები ფართოდაა გაანალიზებული ს. ჯანაშიას მიერ. „ზენა სოფლისა“ და „შიდა ქართლის“ მონაცვლეობა მკვლევარმა ქართველების პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების გადმონაცვლებას დაუკავშირა და მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყნის ადრინდელი უკიდურესი ნაწილი ზენა სოფელი შემდეგში ქვეყნის ცენტრში მოექცა. ის გარემოება, რომ კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთში, მცხეთაში გადანაცვლების შემდეგ, ამ მხარეს კვლავ ეწოდება „ზენა სოფელი“, ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ამ ცენტრის გადანაცვლებასთან სამხრეთ ქართულ მხარეთა კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციების მატარებელთა მიერ (გ. მელიქიშვილი).

ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე, როდესაც ფარნავაზმა ქვეყანა დაჰყო საერისთავოებად, მთელი შიდა ქართლი სპასპეტს დაუმორჩილდა, შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო ან სასპასპეტო.

ადრეფეოდალურ ხანაში შიდა ქართლი კვლავ ქართლის საერისთავოში შედის, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად — ხევებად.

მდ. თერგის სათავეები ეჭირა წანარეთის ხევს. არაგვის სათავეებში ცხოვრობდა წილკნის თემი. მის სამხრეთით მთიულეთკარამდე მდებარეობდა ცხავატი, უფრო სამხრეთით ანანურამდე — ჭართალის თემი, ხოლო მდ. ნარეკვავისპირა მიწები და დუშეთ-ბაზალეთის პლატო შედიოდა ბაზალეთში. ცხრაძმისხევში ქსნის ხეობის ზედა წელის (ცხრაძმა, ქარჩოხი, ჟამური, პურთა) გარდა შედიოდა მდინარეების — ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეები. ქსნისხევი ქსნის ხეობის შუა წელს გარდა მოიცავდა ლეხურისა და მეჯუდის შუა ნაწილებს. მეჯუდისა და ლეხურას ქვემო დინებებს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდებოდა რეხა; პატარა ლიახვსა და მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორია ქმნიდა გვერდისძირს, ხოლო პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა საცხუმეთი. დვანის წყლისა და ფრონეს მიდამოებს ეწოდებოდა დვანის ველი; ხოლო დიდ ლიახვზე მდებარეობდა აჩაბეთის ხევი.

IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯუდის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაძმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი.

X საუკუნისათვის ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან. წინაურდება ტბელთა სახლი.

XI-XIII სს-ში შიდა ქართლი კვლავ ქართლის საერისთავოშია გაერთიანებული. ქსნისა და მის მომიჯნავე ხეობათა მიწები, საფიქრებელია, რომ მეფის დომენის შემადგენლობაშია.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ ქართლის საერისთავოს გამოეყოფა ქსნის (უფრო ზუსტად, ცხრაძმისხევის) საერისთავო, რომელიც თავდაპირველად მოიცავდა ქსნის ხეობის ზედა და მდ. ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ზედა ნაწილებს. შემდეგ (XIV ს.) იერთებს თრუსოს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა სანაპიროს მთიულეთკარამდე და ქსნის ხეობის შუა წელს (ყანჩაეთს, ლომწობანს, აბაზასძეთა მამულს). XVI საუკუნეში არაგვის ერისთავი იერთებს ქსნის საერისთავოს არაგვისპირა მიწებს. ქართლის ბარში XV საუკუნეში წარმოიშობა საამილახვრო, ხოლო XVI საუკუნეში — სამუხრანბატონო.

XV-XVIII სს. ქსნის ერისთავთა ექსპანსიაა მიმართულია შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, დიდ ლიახვზე იერთებენ მის სათავეებს — მაღრან-დვალეთს (ტერმინი გვიანშუასაუკუნეების ხახისაა), პატარა ლიახვზე სავახტანგოს ნაწილს და გვერდისძირს.

დიდი ლიახვის შუა წელზე მოზრდილი ფეოდალური ერთეულია საამაჩაბლო, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს XV საუკუნეში ადრეფეოდალური ხანის აჩაბეთის ხევის საფუძველზე.

VII ს. სომხური გეოგრაფია შიდა ქართლის გაღმამხარში ახსენებს ტანისხევს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტანისხევი რამდენიმე ხევის გამაერთიანებელია. თუმცა შესაძლებელია, რომ ამას ხეობა მიმდებარე გვერდისძიროთურთ (მას ვახუშტი 19 სოფელს მიათვლის) შედიოდეს გვერდისძირის ხევში.

XVI-XVIII სს. შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი შედის მეორე სასპასპეტოში, რომელსაც გვიანდელ წყაროებში ზემო ქართლიც ეწოდება. ვახუშტი ასე შემოხაზავს მის საზღვრებს: „აღმოსავლეთით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსული ჩრდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე, სამხრით მდინარე მტკვარი; ჩრდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასია; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მციოე, რომელი მიჰყვება ჩრდილოეთ კერძ პერანგამდე, მუხიდამ ეღოღუდარამდე და ასევე მთა კოლბეურისა, ხეფინის ხევსა და ამაღუკეთს შუა, მიჰყვების სამხრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვაბამდე; და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკულიახას მთამდე“.

გვიანდელ წყაროებში შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისათვის ზემო ქართლის წოდება უნდა იყოს კავშირში ქართველი ხალხის ისტორიის ტრაგიკულ მომენტთან, კერძოდ, XVI ს-ის პირველ მეოთხედში ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობასთან. მას შემდეგ, რაც ისტორიული ზემო ქართლი (გვიანდელი სამცხე-საათაბაგო) დიდი ხნის მანძილზე ჩამოშორდა ქართლის სამეფოს, მისი სახელწოდება გადავიდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე.

როგორც XVII ს-ის ერთი საბუთიდან ჩანს, ზემო ქართლის სადროშოში შემდეგი სათავადოები და სამფლობელოები შედიოდა: საამილახვრო, საბარათიანო, საფალავანდიშვილო, საფავლენიშვილო, ხერხეულიძეების სათავადო, დავითაშვილების სათავადო, ამირეჯიბების სათავადო, საავალიშვილო, ხიდირბეგაშვილების სათავადო, მხეიძეების სათავადო, დიასამიძეების სათავადო, შალიკაშვილების სათავადო, საამაჩაბლო, სიამარდიშვილების სათავადო, თაქთაქიშვილების სათავადო, ბატონიშვილის საუფლისწულო, ზედგენიძეთა სახლი, თუმანიანთ სახლი, მროველის ყმა-მამული, ურბნელის ყმა-მამული, მთავარეპისკოპოსის ყმა-მამული ზემო ქართლში, სადედოფლო ყმა-მამული ზემო ქართლში, სვეტიცხოვლის ყმა-მამული ზემო ქართლში, „იერუსალემის“ ყმა-მამული ზემო ქართლში, თვალდამწვრიანთ სამფლობელო, ქავთარაძეები, თუხარელები, ტატიახი, წერეთლის მამული, იტროს წინამძღვარი, აბაზაძეების მამული, დამლაწაშვილები და იალუზიშვილები.

ქართლის გაღმამხარი შეადგენდა მეოთხე ან მეუკანავე სადროშოს, სადაც გვიანშუასაუკუნეებში წარმოიქმნენ სათავადოები — საციციანო, საჯავახო, სათარხნო.

●

ქვეყნის სახელწოდება ქართლი (და მისგან წარმოებული „საქართველო“) მომდინარეობს იმ მთის სახელისაგან, სადაც ლეონტი მროველის მიხედვით დაემკვიდრა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი: „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი. და ვიდრე

(დასასრული მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიდა ქართლი

(დასასრული)

ამართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (ქცა, I, 8).

„ქართლი“ გორა ქალაქ „ქართლად“ იქცა (მცხეთა გაიერთა და წიწამური); აგარაების და უბნების პრინციპზე „დიდი ქართლი“ (დიდი მცხეთა) შეიქმნა. ნაქულბაქევიდან — ციხედიდ — სავანის ხევ — ბარვიყარიამდე, ზემო ავჭალიდან ხერკამდე (ჩათვლით), მუხრანბატონიმდე (ნ. ბერძენიშვილი).

გ. მელიქიშვილი წერს: „სახელ „ქართლში“ ძირეული „ქართა“ — „ქართი“ — სიტყვა უნდა იყოს. თავდაპირველად, როგორც დავინახეთ, ეს ტერმინი ქართლის მეფეთა უძველესი რეზიდენციის, დიდი გალავანშემოვლებული ციხესიმაგრის სახელი იყო. ზოგი მონაცემი იმაზე მეტყველებს, რომ ეს სიტყვა წარმოშობით სწორედ ამგვარი გამაგრებული, შემოზღუდული ადგილის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ „ქართი“ მეგრულში „პირუტყვის საზაფხულო სადგომს“, „დაუხურავ შემოზღუდულ ადგილს“, — ო-ქართ კი „საბოსლე ადგილს“ ნიშნავს. ეს სიტყვა არის აგრეთვე ქართული ენის დასავლურ კილოებში (იმერულში, გურულში), სადაც მას აქვს მნიშვნელობა: „მოღობილი საქონლის სამწყვდევად, ბაკი“. დასავლეთ საქართველოში დამოწმებულ ამ ზოგად სახელს „ქართლის“ სახელს უკავშირებენ (ს. კაკაბაძე). რადგანაც „ქართლში“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აკროპოლისში“, ქალაქის, ციხესიმაგრის, გალავანშემოვლებული ადგილის მნიშვნელობა იგულისხმება, მისი სემანტიკური სიახლოვე დასავლურქართულ „ქართა“-სთან, რაც „შემოზღუდულ ადგილს“ ნიშნავს, აშკარაა“.

შემდეგ გ. მელიქიშვილს მოჰყავს „ქართა“-სთან ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად მსგავსი სიტყვები სხვადასხვა ინდოევროპული ენებიდან და ასკვნის, რომ ქართა ხეთურ-მცირეაზიული ტრადიციების მატარებელი მესხების მოტანილ ფაქტად მივიჩნიოთ“.

ა. შანიძის აზრით, ქართლი ეს არის პართნი, ე. ი. პართიის მცხოვრებნი და თვით პართია.

ჩვენი აზრით, ს. კაკაბაძე — გ. მელიქიშვილის თვალსაზრისი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.

ბერძნულ-რომაული წყაროები ანტიკური ხანის ქართლს იბერია-ივერიას უწოდებენ. გ. მელიქიშვილი ამ ტერმინის ახსნას ცდილობს როგორც კოლხეთის მიმართ „იმ (ი)ერი (ქვეყნის)“, ასევე სასპერების ტომობრივ სახელთან კავშირში.

თავის დროზე ს. ჯანაშია იზიარებდა თვალსაზრისს, რომლის მიხედვით სომხური „(ი) ვირ-ქ“ (ვირქ) — „ქართველი“, მრავლობითი რიცხვის ფორმით, „იბერ“ ფუძის ერთი ნაყართაგანია.

მარი ბროსე წერდა: „სომხები თავის ქართველ მეზობლებს უწოდებენ ვირქ-ს, რომელიც ვირ-ის მრავლობითია, საპირისპიროდ ვრასტანისა, ვირქების სახლისა (ქართველთა ქვეყნისა), საიდანაც წარმოდგება ეთნიკური ქართველი (ვრაცი)... ეს ტერმინი წარმომავლობს სომხური სიტყვიდან ვერ, ი ვერა, ან ზემოთ, საიდანაც ორი სხვა სახელია ნაწარმოები — ვერინ და ვერიაცი, რაც ნიშნავს იბერია, იბერიელს“.

სხვა ადგილას მ. ბროსე აღნიშნავდა: „სომხები, რომელთა ქართული სახელი მომდინარე ჩანს სიტყვა სამხრეთისაგან, იმ სიტყვისაგან, რომელიც მიუთითებს ამ ორი ერის ქვეყნების ურთიერთმდებარეობას, თავის მხრივ ქართველებს უწოდებენ ვირქ, რომელიც წარმომავალი ჩანს სომხური ვერისგან, რაც ნიშნავს ზემოთ და გულისხმობს ჩრდილოეთს და ხსნის ანალოგიურ დამოკიდებულებას მეორისადმი (სამხრეთისადმი)“.

ფაქტიურად „ივერიის“ მ. ბროსესეულ ეტიმოლოგიას იზიარებს გ. დეეტერსი 1956 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც ასეთი დებულებაა მოცემული: სიტყვა „იბერი“ ბერძენმა შეითვისა სომეხთაგან, ზეპირი მეტყველების გზით მითრიდატეს ომების დროს (სომეხი „ქართველს“ უწოდებს „Vir-k-ს ამისი ლოკატივია ivers-iviras-bei den Georgien) iviras იმ დროს გავრცელებული იტაციზმის მიხედვით გვაძლევს ფორმა Iberes (იბერეს); ასე დაუახლოვდა „ქართველთა“ სახელწოდება ესპანეთის მოსახლეობის სახელს.

გ. დეეტერსის მოსაზრებას თ. ყაუხჩიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: „იბერ-ვირქ-ის კავშირი დამაჯერებელია, მაგრამ გზა ვირქ-იდან „იბერის“ მიღება-გავრცელებისა სარწმუნოდ არ მეჩვენება“.

გ. წერეთლის აზრით, „იბერში“ იგივე ძირია, რაც ფალაურ „ვრკ“-სა და სომხურ „ვირქ“-„ვარკან“-ში, რაც საბოლოოდ მგლის ტოტემთან მიდის.

დ. მუსხელიშვილის განცხადებით, სომხური ვირქ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული „იბერიიდან“.

მიუხედავად მოსაზრებათა სიმრავლისა, იბერია-ივერიის ეტიმოლოგია ბოლომდე არ არის ახსნილი.

**ჯონდო გვასალია.**

---

**პიროვნება, დრო, საზოგადოება**

# მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა, — ჩვენი ვალია

**...1990 წელი, — ისტორიული გარდატეხის ნიშანსვეტი.**
**...1991 წელი, — ჟამი მომავალი საიმედო ცვლილებებისა.**

უკან მოვერჩა, ისტორიის კუთვნილებად იქცა გამარჯვებებით და სატკივარით, მიღწევებით და დანაკარგებით, მაგრამ მაინც გამორჩეული, იმედით, აღმშენებლობით გაჯერებული წელიწადი.

კალენდარული წელიწადი განსაკუთრებული პოლიტიკური, ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური ძვრების პერიოდად მოგვევლინა. მორალურ-ზნეობრივ, სულიერი განწმენდის და აღზევების, მონანიების აქტად წარმოჩნდა.

1990 წელი საქართველოს რესპუბლიკისათვის, ქართველი საზოგადოებისათვის, ისტორიული მნიშვნელობის, საშვილიშვილო გარდატეხის თარიღი გახლდათ.

ასეთი გამოდგა დროის მოთხოვნა.

1991 წელი არანაკლებ საიმედო, მომავალი სასიკეთო ცვლილებების ჟამი უნდა ჩანდეს.

ასეთი გვინდა იყოს დროის მოთხოვნა.

რეალურობა რთული, მაგრამ შესაცნობი ფენომენია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის, საზოგადოების მიერ ახლად არჩეულმა და ჩამოყალიბებულმა უზენაესმა საბჭომ, მთავრობამ, ხელისუფლებამ — ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მათთან ერთად მებრძოლმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ძალებმა საერთოდ, ბოლო პერიოდში მით უმეტეს, — ძირეული პროგრესული ნაბიჯები გადადგეს, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სულიერი განახლების სფეროებში, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი პროცესების შემობრუნების საპასუხისმგებლო, რთულად სამართავ საქმეებში. რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა?! მიღწევები, გამარჯვებები არა მხოლოდ ობიექტური, კეთილგანწყობილი მამულიშვილისათვის, ჩვენი მოწინააღმდეგისთვისაც თვალშისაცემი და აღსანიშნავია.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სახელმწიფო მართვის პრაქტიკაში, ძნელი, იქნებ, გადამწყვეტი პერიოდი დადგა, რომელიც ქართულ საზოგადოებისათვის ახალ ხარისხში აყვანილ ორგანიზებულობას, სიმტკიცეს, ერთიანობას, მიზნის მიღწევის ერთგულებას, მოზომილ საქციელ-მოქმედებას გულისხმობს.

მიღწევები, გაზვიადების, დაუმსახურებელი ხოტბა-პანეგირიკის გარეშე, შეიძლება ითქვას, — ისტორიული მნიშვნელობისაა, რომლებზედაც მემატიანე თავის სათქმელს იტყვის.

არა მგონია, ქართველი ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობა, — წარსულში და თანამედროვეობაში, როგორც მავანი ადასტურებს, კატეგორიულ ბრალდებებს იმსახურებდეს. ეს უკვე სერიოზული „საბრალდებულო დასკვნაა“. მაშინ დაქცეულა ქვეყანა, საქართველო, გადაშენებულა ქართველი ინტელიგენცია და ეგ არის. ჩვენ ხომ ძირძველი ქართველი ინტელიგენციის პირმშონი ვართ, რომლებმაც პატივით ატარეს და ატარებენ ამ ცნების საპატიო მოვალეობას.

დღეს ერის ლიდერს, რესპუბლიკის უზენაეს ხელმძღვანელს, ბატონ ზვიად გამსახურდიას მავანი ყოფილი „თანამოძმე“ თუ „თანამებრძოლი“, სხვანი, ბევრს უკიჟინებენ. მოგეხსენებათ, მზესაც და მთვარესაც გააჩნია „ლაქები“. არა, მე მას არც მზესა და არც მთვარეს არ ვადარებ, საერთოდ ცნება — „ადამიანზე“, ადამიანურობაზე მაქვს საუბარი.

ადამიანის ბუნებაში, მის ხასიათში განგებამ „პროტესტის“ უძლიერესი მუხტი ჩადო. მე მხედველობაში მაქვს ნებისმიერი ადამიანის, პიროვნების მიმართ ზოგჯერ იმ ხარისხის მინიჭება, ბრალდების წაყენება, — მიზნობრივად თუ უმიზნოდ, მნიშვნელობა არა აქვს, — რაც მის ხასიათში არ ძევს, მის ბუნებას ეწინააღმდეგება, — მას კი ამ ხარისხს მიაწერენ. ნათქვამი ამ პიროვნების დათრგუნვას, უზურპირებას ნიშნავს, რაც მისი ზნეობის, სულის შელახვის უსამართლო ბრალდებაა, — საამისო უფლება არავის გააჩნია. აი მაშინ ჩნდება პროტესტის ნაპერწკალი, რომელიც შესაძლოა გამძვინვარებულ ხანძარში გადაიზარდოს. მოვერიდოთ ნაპერწკალს, რომელსაც შესაძლოა ხანძარი მოჰყვეს.

დილეტანტების პოლიტიკოსობა შესაძლოა დილეტანტების არეულობით — „რევოლუციით“ წარიმართოს. ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

დანაკარგები, — სატკივრიანი და სავალალოც, რაღა თქმა უნდა, ბევრი იყო. ალბათ მომავალშიც იქნება. სხვანაირად წარმოუდგენელია. ოღონდ დღეს და მომავალში მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე კი არა, მოწინააღმდეგის, მტრის შეცდომებზედაც უნდა ვსწავლობდეთ. მავანნი სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სხვები — ცხოვრობენ.

ჩვენი საუკუნის ბოლო ათწლეულის დასასრული, ახალი საუკუნის დასაწყისი, — ახალ, აღორძინებულ, თავისუფალ საქართველოდ, დავითისეული პერიოდის სახელმწიფოდ უნდა წარმოვიდგინოთ. ღმერთმა ინებოს და ჩვენი წადილი, სურვილი უფრო ნაადრევად აღსრულებულიყოს.

ეს წლები მიღწევების და დანაკარგების, სიხარულის და ტანჯვის, იმედის აღსრულების და გაცრუების წლები იყო. მიმდინარეობს მძაფრი, ღია, ზოგჯერ ფარული ბრძოლა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტისათვის მიღწევები ძირითადად დემოკრატიულობის ძიების, თავისუფლების დამკვიდრების სფეროებში შეინიშნება. ადამიანის „გაქრისტიანების“ პროცესი გრძელდება. ერთმა ცნობილმა მხატვარმა აგარაკზე დასვენებისას მეზობლის ძაღლის დახატვა განიზრახა და პატრონს სთხოვა დაბმული ძაღლი გაენთავისუფლებინა და მდელოზე გაეშვა, რათა ძაღლს „განთავისუფლებული მზერა“ ჰქონოდა.

თავისუფლების შეგრძნება არღვევს „მიჯაჭვულობას“, სტერეოტიპს, ერთფეროვნებას. ჩვენ ამჟამად, ღმერთსა მადლი, „მდელოზე“ გამოსვლის უფლება და საშუალება გაგვაჩნია, სიტყვისა და მოქმედების თავისუფლება, მაგრამ გაგვაჩნია თუ არა შინაგანი „განთავისუფლებული მზერა“, — ჯერაც საკითხავია.

„ცენტრი“ არ „თვლემს“, ისიც ცვლის თავის პოლიტიკას, ტაქტიკას, სტრატეგიას. მართალია, „ძალადობა“ მას პირველ პლანზე აქვს გამოტანილი, მაგრამ ამასთან ერთად „ხელშეკრულებებით“, სხვადასხვა „პროგრამებით“ ჩათრევა სურს.

ვაი, რა ნაცნობი სახეებია.

უი, რა „ჩაყოლის“ მანევრებია.

მოვლენები თავბრუდამხვევად ვითარდება, როგორც სამყაროში, საბჭოთა იმპერიაში, ისე ჩვენში, — საქართველოში.

მიმდინარეობს ღია, უკომპრომისო ბრძოლა ჭეშმარიტ, რეალურ ფასეულობებზე, ღირებულებებზე, საკუთრების ფორმებზე, ხელისუფლების მოპოვებაზე, საკუთარი ამბიციური მოთხოვნილებების დამკვიდრებაზე, საზოგადოებრივი პოპულარობის მოპოვებაზე. ეს და სხვა მსგავსი ხასიათის პროცესები მიმდინარეობს საზოგადოების თითქმის ყველა „ვერტიკალურ“ და „ჰორიზონტალურ“ წარმონაქმნებში, სფეროებში, — ძირეული შრომითი კოლექტივებიდან მოყოლებული — უმაღლესი ხელისუფლების ჩათვლით; გორბაჩოვი — ელცინი, საბჭოები — პარტიული კომიტეტები, ცენტრი — რესპუბლიკები, ახლა უკვე რესპუბლიკები — ავტონომიები. საქართველო ამის დასტურია.

ეს ურთიერთობა — პრობლემები, წინააღმდეგობები საყრდენი ფუნქციების მატარებელნი არიან, ისინი მომავალი საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-იდეოლოგიურ სტრუქტურებს განსაზღვრავენ, ადამიანის ადგილს, მის როლს ამ სტრუქტურებში.

ხსენებულ, სხვა რეალურ ძალთა თანაფარდობის პოტენციალის პროცენტული განსაზღვრა სოციოლოგების, მეცნიერების, საკვლევი ინსტიტუტების საქმეა. მაგრამ თანამედროვეობაში შექმნილ ვითარებას პრაქტიკული თვალით თუ შევხედავთ, გავაანალიზებთ მათ შორის პაექრობა, წინააღმდეგობა გარდუვალი უნდა იყოს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, დემოკრატიული ძალები გადაძლევენ დესტრუქციულ წინააღმდეგობებს, ეროვნულ მოძრაობაში სალი აზრი დაჯდება „ტახტზე“, პოპულიზმი ინდექსს დაკარგავს. უნდა დაკარგოს.

საქართველოს რესპუბლიკას ხალხის მიერ დემოკრატიულ, მრავალპარტიულ პრინციპებზე არჩეული ახალი ხელისუფლება ჰყავს. ეს ფაქტი ბევრისმანიშნებელი და განმსაზღვრელია.

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გვყავდეს მყარი მთავრობა.

რაოდენ საჭირო, აუცილებელია დღეს სიმყარე, ერთიანობა — ყველგან და ყველაფერში.

[illegible] ნილებზ, მიტინგები, დემონსტრაციები, „შიმშილობა“, — ნაკლები მსხვერპლით, ტკივილით, უფრო კონკრეტული შემოქმედებითი საქმეებით, სასარგებლო მოქმედება-საქციელით, აღმშენებლობით შეიცვალოს; სახალხო დიპლომატიის შემეცნების ზრდა, პროფესიონალ პოლიტიკოსთა კვალიფიკაციის „რეიტინგის“ ამაღლება, ქუჩის დიპლომატიის — საპარლამენტო დარბაზებში გადანაცვლება — დროის მოთხოვნილებაა.

ცხოვრებამ, პრაქტიკამ დაგვიდასტურა, ჩვენ ხშირად „ჭირნახულს“ კი არ ვიმკით, ვიღებთ და ეროვნულ ბეღელში ვაბინავებთ, — ამ სიტყვის, ცნების პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, უფრო ჭირვარამს ვიმკით, რითაც უფრო ვუძლურდებით.

„ტყვიის“ სიმძიმითაა დატვირთული ჩვენი, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული.

სისხლით დაბანილია საქართველო, წარსულში, აწმყოში.

წინაპართა ოფლითაა გაჟღენთილი მიწა ჩვენი. ამ ოფლის ყადრი დღესაც შესაცნობია.

კაცობრიობას, მის სულიერ სამყაროს სათავეში ედგა, უდგას ბუდა და კონფუცი, იესო ქრისტე და მუჰამედი.

ისინი ასწავლიდნენ და ასწავლიან, მოძღვრავენ ადამიანს ქვენაგრძნობებში და უზნეობაში, შიმშილში და სიცივეში, შიშსა და სიძულვილში, ეძიებდნენ ადამიანს, აღვიძებდნენ ადამიანურს, რადგან ისტორიას ქმნიან ხალხი, ადამიანები, რომლებიც გამორჩეულ პიროვნებებს, ლიდერებს ენდობოდნენ, მიჰყვებოდნენ, ვისიც სჯეროდათ. ასე იყო ორიათასი წლის წინათაც, გალილეის ქალაქ ნაზარეთში, ბეთლემში, — ქრისტეშობისას.

ქართველი საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე რესპუბლიკა სალად, დამოუკიდებლად, პერსპექტიულად მოაზროვნე, მოქმედი ადამიანების, პიროვნებების, ლიდერების გარკვეულ დეფიციტს განიცდის მაინც, რომლებსაც ურთულესი ამოცანების გადაწყვეტისას არაშაბლონური, მოულოდნელი გზების ძიება, მიგნება ძალუძთ.

არა მხოლოდ მიგნება გააზრება, წარმართვა ამავე დროს.

ქართველი საზოგადოება, ყველა ერთი „უბნიდან“, ქუჩიდან, მიტინგებიდან მოსული ახალი უზენაესი ხელისუფლება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთლიანად, თანდათანობით, დღითიდღე იწმინდება, ძალებს იკრებს, ერთიანდება, რაც დღევანდელი, ახლო მომავალი გამარჯვებების საწინდარი უნდა იყოს.

მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა ჩვენი ვალია.

**ავთანდილ გველიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენი ისტორიაა

# ფილადელფოს კიკნაძე — 1832 წლის შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი

**ფილადელფოს** კიკნაძე 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო. მისი როლი შეთქმულებაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც იდეური ხელმძღვანელისა. და მართლაც, შეთქმულება მთლიანად მისგან შედგენილ წესდებას ანუ როგორც თვით უწოდებს „აქტს გონიერს" ემყარებოდა. „აქტი გონიერი" უკარნახებდა შეთქმულების მონაწილეებს, როგორც ძირითად სახელმძღვანელო დებულებებს, ისე ეთიკურ-პოლიტიკურ პრინციპებს, ურთიერთშორისა და სახელმწიფოსთან მიმართების წესებს.

ფილადელფოს კიკნაძე უაღრესად ტრაგიკული პიროვნება იყო, უფრო მეტად ტრაგიკული, ვიდრე სოლომონ დოდაშვილი, რადგან სოლომონ დოდაშვილს ეღირსა დღის სინათლის ხილვა, თუმცა განაწამებსა და სასიკვდილოდ დაავადებულს, ფილადელფოსმა კი თავი ვერ დააღწია პატიმრობას და საპატიმროს ჯურღმულებში დაასრულა სიცოცხლე, ნაგვემმა, ნაწამებმა, თუმცა სულიერად გაუტეხელმა და ქედმოუხრელმა.

ფილადელფოს კიკნაძემ ვერ მოახერხა თავისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან ვერც ერთის გამოქვეყნება და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამუდამოდ დაკარგულია შთამომავლობისათვის. მათგან მხოლოდ ოთხმა, ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე, ისიც იმის წყალობით, რომ 1832 წლის საგამომძიებლო კომისიამ ეს შრომები ჩართო საქმეში, როგორც სამხილი მათი ავტორის დასასჯელად და მართლაც, ფილადელფოსი დასაჯეს ისე, როგორც არ დაუსჯიათ შეთქმულების არც ერთი წევრი.

ამრიგად, 1832 წლის შეთქმულებამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სოლომონ დოდაშვილისა და ფილადელფოს კიკნაძისა. სამწუხაროდ, ამ დიდი მოღვაწის, მოაზროვნე ფილოსოფოსის, პოეტის, დიდი პატრიოტის შემოქმედება და მოღვაწეობა დღემდე არაა სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული. არაა გამოქვეყნებული და ფართო მკითხველი მასისთვის უცნობია ის მცირედი ნაწილიც მისი შრომებისა, რამაც ჩვენამდე მოაღწია. მათი დროული შესწავლა-გამოქვეყნება ჩვენი ვალია.

როგორც თვით ფილადელფოსი უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას. 1833 წელს ის ყოფილა 40 წლისა, უცოლშვილო. მაშასადამე, ფილადელფოსი 1793 წელს უნდა იყოს დაბადებული. შვიდი წლისა ის მამას იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მიუყვანია, მაგრამ მშობლები ადრე გარდაცვლილა ჰირით და ის სრულიად დაობლებული ხირსის არქიმანდრიტს წაუყვანია და მასწავლებლებისათვის მიუბარებია. აქ მას საფუძვლიანად შეუსწავლია ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. ხირსაში ის ხუთი წელი დარჩენილა დიაკვნად, საიდანაც თბილისის ფერისცვალების მონასტერში გადასულა, ხოლო 1826 წელს კათალიკოს ანტონს წაუყოლია ნიჟნი-ნოვგოროდს. ანტონის გარდაცვალების შემდეგ ის კვლავ თბილისის ფერისცვალების მონასტერს დაბრუნებია, მაგრამ ხოლერის გავრცელების გამო, რამაც მისი მეგობარი მღვდელი პორფირე შეიწირა, ის გადასულა შუამთის მონასტერში, სადაც ის მონასტრის წინამძღვრად მუშაობდა სიკვდილამდე, უფრო სწორად, დაპატიმრებამდე. ფილადელფოსი პირველად ნიჟნი-ნოვგოროდს ყოფილა პატიმრობაში, მაგრამ ამჯერად ის იოლად გადაურჩა პატიმრობას კათალიკოს ანტონის შუამდგომლობით. ამ პირველი პატიმრობის დროსაც, ეტყობა, დაიკარგა მრავალი მისი ნაშრომი, ნაწილიც თვით მან გაანადგურა კონსპირაციის მიზნით.

მეორედ ის დაპატიმრებულ იქნა 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის გამო რენეგატი და გამცემი იასე ფალავანდიშვილის დასმენის შედეგად. როგორც ჩანს, იასე მის მონაწილეობას შეთქმულებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი წერდა დასმენაში: „კახეთში ქალალდებს კიკნაძე ბერი ავრცელებს. ქალალდების საწყობი მის მონასტერშია მოთავსებული დამალვით. ეს ბერებმაც იციან. ის ყველგან დადის და სიტყვებს ამბობს. მისივე შედგენილია ამ საზოგადოების წესდება. ქართველი სამღვდელოების და ბერების აჯანყება მას აქვს მინდობილი. მას დიდი გავლენა აქვს სასულიერო წოდებაზე". ეტყობა, იასეს დასმენამ განაპირობა ის მხეცური სისასტიკე, რაც გამოიჩინეს ფილადელფოსის მიმართ, როგორც დაპატიმრებამდე, ისე საპატიმროში.

ქვათახევის ბერი გენადი აღწერს მისი დაპატიმრების მძიმე სურათს: შუამთის გალავანში შემოსულა ეგზარხოსი, ხოლო გალავანს გარშემორტყმიან 60 ყაზახი და 120 სალდათი. ბერები ჩაუმწკრივებიათ და მათ წინ კი ფილადელფოსი დაუყენებიათ. ბერებს არ გაუციათ ფილადელფოსი. მაშინ ისინი ხეებზე მიუბიათ და დამუქრებიან, რომ თუ არ იტყოდნენ, სად ინახება ფილადელფოსის ნაწერები, მათ სახლებს ცეცხლს მისცემდნენ. მაშინ ერთ ბერს, რომელსაც ორსართულიანი სახლი ჰქონია, მიუთითებია ჭერზე, სადაც ინახებოდა საიდუმლო მიმოწერა. ჭერი აუხდიათ და მიუგნიათ ფილადელფოსის ნაწერებისთვის. ფილადელფოსი მაგრა შეუბოჭავთ თოკით და ბორკილები დაუდიათ. თოკის ბოლო კი ერთი ცხენოსანი ყაზახისთვის მიუციათ და ასე ფეხით გაუყენებიათ გზაზე, უკან კი ცხენოსანი ყაზახები მისდევდნენ ფეხდაფეხ. ჩამოუყვანიათ ავლაბრის ყაზარმაში და თუმცა ნაგვემი იყო, მაინც ყველა მოინახულა და დაარიგა, როგორ ელაპარაკათ. ასწავლა კაკუნით ლაპარაკი, რის გამოც ის გადაიყვანეს დარიის მონასტერში, — ჰყვება გენადი ბერი.

ფილადელფოსი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჰყავდათ პატიმრობაში, რასაც მოწმობს მისი წერილი ბატონიშვილ მიხეილისადმი:

მეორე თხოვნას ის სწერს საგამომძიებლო კომისიას: „გევედრებით, რათა კაცთმოყვარებისაებრ თქუენისა და დიდ სულობისა აღმისუბუქოთ იწროება ესე. რაოდენიიანი არს, არ მინახავს ეკლესია, არ მომისმენია წირვა, არ მაქვს წიგნები სალოცავი. ვარ დაკეტილსა, ფანჯარას გალესილს სახლში მარტოკა. ვითხოვ შეიწყალოთ კაცთმოყვარეობა და სიმართლისაებრ ჩემისა აღმისუბუქოთ მე მწუხარება ესე. იეირომონახი ფილადელფ. 1833 წლის თებერვლის 24".

როგორც ჩანს, მას მდგომარეობა არ შეუმსუბუქეს, რადგან რვა თვის პატიმრობის შემდეგ ის გარდაიცვალა საპატიმროში.

საპატიმროს მკურნალის ნიკოლსკისა და პოდპოლკოვნიკ შესტენკოს ცნობით, ის გარდაცვლილა 1833 წლის 5 სექტემბერს კუჭის ანთებით. სინამდვილეში იგი იმსხვერპლა იმ არაადამიანურმა პირობებმა, რომელშიც ამყოფებდნენ მას პატიმრობაში.

ფილადელფოსი შეთქმულების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. იგი შეთქმულთა თეორიული ხელმძღვანელია, თუმცა ცდილობდა ყოველთვის ჩრდილში დარჩენილიყო და არ გამოჩენილიყო, როგორც ხელმძღვანელი. გარდა იმისა, რომ მან შეუთხზა შეთქმულთ წესდება „აქტი გონიერი", მანვე შექმნა საიდუმლო ანბანი ქართული მხედრული და ხუცური, აგრეთვე რუსული და ლათინური ანბანის გამოყენებით. ამ ანბანით შეთქმულნი ფართოდ სარგებლობდნენ საიდუმლო მიმოწერაში. მანვე ასწავლა შეთქმულთ პატიმრობაში კაკუნით ლაპარაკი, აგრეთვე შეხვედრისას მარჯვენა ხელის ნეკით წარბის მოფხანა, რაც შეთქმულთა პაროლად იქცა. ამას გარდა, იგი ერთგვარი მოსამართლის როლსაც თამაშობდა შეთქმულთა შორის უთანხმოების წარმოქმნისას, ყოველი უთანხმოება მისთვის უნდა ეცნობებინათ საქმის მოწესრიგებისა და წინააღმდეგობის აღკვეთის მიზნით. როგორც თვითონ წერს, „მე უნდა ვყოფილიყავი იმათი ხელმძღვანელი თავი, მაგრამ იმათ არ უნდა ვცოდნოდი მე".

ამას გარდა, ფილადელფოსი ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას სრულიად უანგაროდ. შუამთის მონასტერთან მას სკოლა ჰქონია გახსნილი, სადაც ის უსასყიდლოდ ასწავლიდა როგორც თავად-აზნაურების, ისე უბრალო გლეხის შვილებს. მისი მოსწავლეები ყოფილან თავადები გიორგი და რაფიელ ერისთავები, რომლებთანაც მას ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა შეთქმულების სხვა წევრებთანაც, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძესთან და განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილთან. იგი, როგორც ჩანს, სოლომონ დოდაშვილს უგზავნიდა მასალებს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. ამას გარდა, იგი სთხოვდა სოლომონს დახმარებოდა რომელიმე სასწავლებელში სალმრთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობის მიღებაში. ანალოგიური თხოვნით მიმართავდა ის თავად გიორგი ერისთავს. სამწუხაროდ, მის არც ერთ სურვილს განხორციელება არ ეწერა. ცარიზმმა მას ნაადრევად მოუსპო შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყოველი შესაძლებლობა.

ფილადელფოს კიკნაძეს დაწერილი ჰქონია პოემა-ტრაგედია მურვან ყრუს შემოსევის შესახებ საქართველოში. თვით ფილადელფოსი ამ ნაშრომს ალეგორიას უწოდებს, რადგან, როგორც ჩანს, მურვან ყრუს შემოსევაში იგი საქართველოს თანამედროვე რუს დამპყრობლებს გულისხმობდა.

ფილადელფოსს დაწერილი ჰქონია პროკლამაციაც, სადაც ნათქვამი იყო: „ეხლა, მინამ რუსებს საქართველოში ჯერ ფეხი არა აქვთ მომაგრებული, ეხლა უნდა დავესხათ და გავრეკოთ აქედამ, თორემ თუ ამათ აქ ფეხი გაიმაგრეს, მაშინ მათი გაძევება ჩვენი მომავალი თაობისათვის ძნელი იქნება. ამიტომ ჩვენც გასაკიცხნი ვიქნებით მათგან. ეხლა უნდა გათავდეს საქმე და ესენი გაძევებული უნდა იქნენ აუცილებლად საქართველოდამ".

ასეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული „აქტი".

ფილადელფოსის „აქტი" ემყარებოდა მტკიცე მორალურ საფუძვლებს. ორგანიზაციის წევრები უნდა ყოფილიყვნენ მაღალი და სპეტაკი მორალური თვისებების მქონენი, მათთვის უცხო უნდა ყოფილიყო ღალატი, ფიცის გატეხვა, გაუტანლობა, ანგარება და სხვ. ორგანიზაციის წევრებს ისე უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი, როგორც თავისი თავი, ხოლო წევრად არ უნდა მიღებულიყო კაცი „ვნებული, ზნემოშლილი და დადედლებული, არამედ ოდენ მქონებელ მგრძნობელი სულისა". „აქტის" მიხედვით, შეთქმულების წევრებს ევალებოდათ საიდუმლოდ დაეცვათ როგორც შეთქმულების, ისე „აქტის" არსებობის ფაქტი. მათ უნდა ჰქონოდათ —ერთი სიტყვა და ერთი მოქმედება სრულის თავის დადებით ერთმანეთისათვის". შეთქმულები უნდა ყოფილიყვნენ „მტკიცენი, რომელ არ გამოეცხადებინათ არცა შიშითა სიკვდილისათა უკამოდ".

ფილადელფოსი „აქტში" შეთქმულების ორგანიზაციის სამ ძირითად პრინციპს აყალიბებდა: „ა. „სიყვარული ღუთისა" ანუ „რწმუნება სარწმუნოებისა", ბ. „მორჩილება და ერთგულება ხემწიფისა", გ. „სიყუარული და შეწევნა ურთიერთისა".

„აქტი" გულისხმობდა შეთქმულების წევრთა ურთიერთსიყვარულს, რადგან ფილადელფოსმა კარგად იცოდა, რომ „სადაცა არს სიყუარული, მუნ აღსპობილ არს ყოველი ბოროტი. სიყუარულსა შორის მოიპოების ყოველი ნეტარება კაცისა სულიერიცა და ხორციელიცა". შემდეგი პრინციპი იყო მორჩილება ქვეყნის ხელმძღვანელისადმი, რადგან შეთქმულების წევრებს უნდა სცოდნოდათ, რომ „ხელმწიფე ღვთისა მიერ განწესებულ არს". ასეთი მორჩილება ხელმწიფისადმი კი მას აუცილებლად მიაჩნდა როგორც შეთქმულების წევრთა, ისე მთელი საქართველოს მებრძოლი, სიცოცხლისუნარიანი ძალების დასარაზმავად საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამიტომ ნერგავდა ის ასეთის დაჟინებით ხელმწიფის ღვთაებრივი წარმოშობისა და მისი უფლებების შეუზღუდველობის იდეას.

საყურადღებოა „აქტის" მიხედვით ახალი წევრების მიღების წესი. მისაღები წევრი კარგად უნდა ყოფილიყო შესწავლილი, არის თუ არა ის მიღების ღირსი, აქვს თუ არა საიდუმლოს დაცვის უნარი და მხოლოდ, როდესაც დარწმუნდებოდნენ, რომ მას ყველა ეს თვისება გააჩნდა, გააცნობდნენ „აქტს", ხატის წინ დაადებინებდნენ ფიცს, ეამბორებოდნენ როგორც ხატს, ისე ურთიერთს, რის შემდეგ ახლად მიღებულს უნდა წარმოეთქვა ფიცი, რომელიც აგრეთვე ფილადელფოსის შემოქმედება იყო. ეს ფიცი:

„ვფიცავ, რომელ ვიქმნები ყოვლის გულითა, სულითა, ყოვლის შეძლებითა დამცველი საიდუმლოსა აქტისა, სჯულთასა, ვიდრე სიკვდილადმდე, აღვასრულებ დაცვასა მას შინა, ხოლო უკეთუ არა დავიცვა იგი სულისა ჩემის შეძლებითა და ვეცრუო რომელსამე წევრსა, მაშინ წყეულმცა ვარ სახელითა ყოვლად ძლიერისათა ღმრთისათა და შეჩვენებულცა. უკეთუ განვაცხადო სხვისა ვისთანმე, გარდა ეკლესიისგან და სისხლისგან იესო ქრისტესსა, რომელსაცა ვეზიარებით. მან ყოს შურის გება ჩემ ზედა და აღისპოს სახელი ჩემი ქვეყანით შვილითი შვილთამდე. ამინ!"

ფილადელფოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მოღწეული ჩვენამდე, არის „სიყვარული მამულისა", რომელსაც ჩვენ მივაკვლიეთ შეთქმულთა მასალებში და რომელიც არაა გამოქვეყნებული. ის დღესაც ელის დღის სინათლეს. ნაშრომი, მართალია, დაუმთავრებელია, მაგრამ ის სრულ წარმოდგენას გვიქმნის ფილადელფოსის განწყობასა და აზროვნების მიმართულებაზე. ნაშრომში ფილადელფოსი წარმოგვიდგება უდიდეს პატრიოტად, სამშობლოსათვის თავგანწირულ, მის უსაზღვროდ მოყვარულ ადამიანად და ანალოგიური განწყობის გაღვივებას ლამობს იგი მკითხველში.

ფილადელფოსი ნაშრომში გვთავაზობს სამშობლოს ანუ მისი გამოთქმით, „მამულის" რამდენიმე გაგებას: მამული ესაა „საკუთრება მამა-პაპათა ჩუენთა", „მამულად ჩუენდა იწოდების ვითა ადგილი, ეგრეთუე ერი, რომელთა შორისცა მშობელთა ჩუენთა მოგუანიჭეს წილ-ხდომილებაი", „მამული... არა ნიშნავს მხოლოდ ადგილსა მას მამეულსა ჩუენსა, არამედ ერსაცა და მამეულსა საზოგადოებასა, ეგრეთუე მამულსა სჯულსა და წესსა, რომელსა შინაცა მშობელთა ჩუენთა დაგვადგინეს ჩუენ სჯულისაებრ მემკვიდრეობისა". ერთგან კი იგი მამულს უწოდებს დედას, რომელიც გვზრდის ძუძუთაგან თვისთა". ამრიგად, მამული ფილადელფოსის გაგებით არის ჩვენი წინაპრების მიერ ჩვენთვის დატოვებული ბუდე და საკუთრება, აგრეთვე ერი, ანუ საზოგადოება, რომელშიაც ჩვენ ვტრიალებთ და კვლავ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი რჯული და სარწმუნოება.

განმარტებიდან რაა მამული ანუ სამშობლო, ფილადელფოსი გადადის მამულის ანუ სამშობლოს სიყვარულის განმარტებაზე. რადგან მან მამულში სამი ძირითადი მომენტი გამოყო, ამიტომ მამულის სიყვარულში ანუ პატრიოტიზმშიც ის ძირითადად სამ მომენტს არჩევს: მამა-პაპათაგან დატოვებული მემკვიდრეობის, ე. ი. მიწის სიყვარულს, იმ ერის სიყვარულს, რომელსაც ეკუთვნი და იმ რჯულისა და ტრადიციების სიყვარულს, რომელიც გვიანდერძეს მამა-პაპათ. ფილადელფოს კიკნაძემ კერძო, პირადი ინტერესები მჭიდროდ დაუკავშირა საზოგადოს, სამშობლოს ინტერესებს. მისი აზრით, მხოლოდ სამშობლოს და ერის კეთილდღეობა მიანიჭებს ადამიანს პირად კეთილდღეობას და პირიქით.

ფილადელფოსის აზრით, ჭეშმარიტი პატრიოტი სიცოცხლესაც კი არ უნდა იშურებდეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ადამიანი კი უნდა ზრუნავდეს პირად ბედნიერებაზე, მაგრამ ისე, რომ სხვის ინტერესებს არა თრგუნავდეს.

ფილადელფოსი ეხება იმპერიისა და მისდამი დაქვემდებარებული ერების მიმართების საკითხს და აღნიშნავს, რომ, მართალია, იმპერია პირველ რიგში საკუთარ ინტერესებზე უნდა ზრუნავდეს, მაგრამ არა სხვა ერების ინტერესების დათრგუნვის ხარჯზე. აქ ფილადელფოსი შენიღბულად მიუთითებს რუსეთის იმპერიას, რომ ის უმართებულოდ მოქმედებს დაქვემდებარებული სახელმწიფოების მიმართ.

შემდეგი მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომი, რომელსაც ჩვენ წავაწყდით აგრეთვე 1832 წლის საგამომძიებლო კომისიის საქმეებში, არის „გოდებანი იერემიასი, ძესა ენაისნი ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა". ეს ნაშრომი ერთგვარი თეთრი ლექსია, რომელიც დანაწილებულია სტროფებად, აქვს შინაგანი რიტმი და დიდი ემოციური დატვირთვა. სტროფების რაოდენობა შეესაბამება ქართული ანბანის რაოდენობას. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ნაშრომი ეძღვნება მისი თანამედროვე საქართველოს მდგომარეობის წარმოსახვას. ფილადელფოს მუქი საღებავებით გვიხატავს ივერიის სავალალო მდგომარეობას. გამქრალა მისი ძველი დიდება, მისი ველ-მინდორი ეკლით დაფარულა, წაშლილა ივერიის საზღვრები, მისთვის შემოუძარცვავთ ლობენი, ივერიელთა სახლნი გაუსწორებიათ როგორც მინდორნი, განსაკუთრებით მძიმე ხვედრი რგებია თბილისს, ის თითქოს „განქარდა ცათა ქვეშე", აღარ არის ჭეშმარიტი ქართველი საზოგადოება. მივიწყებულან მცხეთის დიდებული ტაძარნი, მის საკურთხეველზე ხავსი ამოსულა, ხოლო ბილიკი შამბით დაფარულა, ტაძრებიდან აღარ მოისმის ტკბილხმოვანი გალობა, აღარც „მღვდელნი მღვთისანი მოჩანან" სადმე, სარწმუნოება წარყვნა „ურწმუნოების მდინარემ".

სამშობლოს დაცემა და განადგურება სტანჯავს ფილადელფოსს: „ცრემლმან სიბრალულისამ თქუენისამან შემჭამა მე". მიუხედავად ამისა, ფილადელფოსი მკითხველს მაინც უტოვებს იმედს გადარჩენისა: „არიან იმედნი ცრემლთა ჩუენთანი, მჩვენებელნი, რამეთუ არს კვალად ჟამი „სუფევისა" იგი შენიშნავს, რომ „მემამულენი ივერიასა შინა არა არიან სხუა, გარნა ხენი ოდენ მოხრილნი ქართაგან". ე. ი. არის იმედი იმისა, რომ ისინი შესძლებენ კვლავ წელში გამართვას და მტერთან შებმას. ამიტომ მოუწოდებს ახალგაზრდა ივერიელებს: „აღსდეგით, ძენო ნათესავთა ჩვენთან... განფინეთ ვითარცა წყალი გულნი თქუენნი წინაშე მაღლისა, აღიპყრენით მისდამი ხელნი თქუენნი სულთათვის, ჩვილთათვის, ყრმათა თქვენთასა, რათამცა იხილოს უფალმან და ზედმოიხილოს თქუენ ზედა".

ჩვენ ვალში ვართ სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ამ ადამიანის წინაშე. მისი საქმე და ნათელი, სპეტაკი სახე უნდა უკვდავყოს მადლიერმა შთამომავლობამ და ის დიდება, რომელიც მას არ ეღირსა სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგ მაინც უნდა იყოს მისი ხვედრი. ეს მან, უდავოდ, დაიმსახურა.

თამარ კუკავა,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი.

ეს ჩვენი ისტორიაა

# ალორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქ. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის**

## პედაგოგიური ინსტიტუტი

**აცხადებს, რომ 1991 წლის მიღებები გამოცდები, სპეციალობების მიხედვით ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში:**

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები) — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

2. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე (დღის და დაუსწრებელი განყოფილებები) — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);

3. ისტორიის სპეციალობაზე (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

4. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები) — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი) ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);

5. რუსული ენა და ლიტერატურა, ეროვნული (ქართული) სკოლებისათვის სპეციალობაზე (დღის განყოფილება) — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა (ზეპირი) ან უცხო ენა—არჩევით (ზეპირი);

6. ქართული ენის, ლიტერატურის და რუსული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე (დღის განყოფილება) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

7. აზერბაიჯანული ენის, ლიტერატურისა და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე (დღის განყოფილება) — აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი);

8. სომხური ენის, ლიტერატურისა და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე (დღის განყოფილება) — სომხური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი) ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი);

9. დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, მეთოდიკისა და სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე (დღის განყოფილება) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა);

10. დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, მეთოდიკის და სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე (რუსული სექტორი, დღის განყოფილება) — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი), სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა);

11. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის (სკოლამდელი) სპეციალობაზე (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

12. დეფექტოლოგიისა და ლოგოპედიის სპეციალობაზე (დღის განყოფილება) —ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

13. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე (დაუსწრებელი განყოფილება) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე (დაუსწრებელი განყოფილება, რუსული სექტორი) — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), მათემატიკა (წერა), სსრკ ისტორია ან საქართველოსი სტორია — არჩევით (ზეპირი);

15. მუსიკის და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკის სპეციალობაზე (დღის განყოფილება, ქართული სექტორი) — სპეციალობა (ფორტეპიანო ან საორკესტრო საკრავები და ვოკალური მონაცემები), მუსიკის თეორია (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); საქართველოს ისტორია (ზეპირი).

16. მათემატიკის (ქართული და რუსული სექტორები — დღის განყოფილება), ფიზიკის (ქართული სექტორი დღის განყოფილება) სპეციალობებზე—მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა);

17. შრომის სეციალობაზე (ქართული სექტორი, დღის და დაუსწრებელი განყოფილებები) — მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ხაზვა, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

18. ხაზვის, სახვითი ხელოვნებისა და შრომის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დღის განყოფილება) — სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა), ხაზვა, მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

19. ქიმიისა და ბიოლოგიის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დღის განყოფილება) — ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

20. ბიოლოგიისა და ქიმიის სპეციალობაზე (რუსული სექტორი, დღის განყოფილება) — ბიოლოგია (წერა), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

21. გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დღის განყოფილება) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

22. გეოგრაფიის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

23. ხაზვისა და სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება) — სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა), ხაზვა, მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

24. ბიოლოგიის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება) — ბიოლოგია (წერა), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

**შენიშვნა:** 1. საგნების ჩაბარების თანამიმდევრობა გამოცხადდება დამატებით.

**მიმღები კომისია**

## თბილისი — სტამბული — თბილისი

სატრანსპორტო ფირმა „გლობუსი“ აწარმოებს მგზავრთა გადაყვანას კომფორტული „იკარუსის“ მარკის ავტობუსებით მარშრუტით:

**თბილისი — სტამბული — თბილისი.**

სტამბულში ყოფნის ხანგრძლივობა არის 3 დღე-ღამე. დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ, მიმართოთ მისამართზე:

კანკავას ქ. 3. (საბჭოს ქ. 12)

ელსმენი: 96-94-49

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ

1990 წლის ოქტომბერში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალი“.

გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე სამართლებრივი და იურიდიული ინფორმაციის რესპუბლიკური მონაცემთა ბანკის შექმნა და ექსპლოატაცია.

ზემოაღნიშნულთან ერთად ჩვენ მზად ვართ დავდოთ ხელშეკრულებები ნებისმიერი პროგრამული და პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსების შექმნასა და სხვა საქმიან წინადადებებზე.

დღეისათვის დსსგ „საქინფორმსამართალი“ გთავაზობთ:

—გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებს PC/XT/AT/AT-386 და PS/2/25/30/50/60/70/80;
—APPOLO — მუშა სადგურებს;
—აშშ-ის წარმოების მინი— და სუპერ— ეგმ-ებს;
—სარედაქციო-საგამომცემლო სისტემებს;
—დაპროექტების ავტომატიზაციის პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს;
—EHCKNET, ARCNET, P-LINK ლოკალურ გამოთვლით ქსელებს;
—ორგტექნიკას;

ტექნიკის მიწოდება, უმეტეს შემთხვევებში, წარმოებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ჩვენი მისამართია: 380010, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 32.

ჩვენი ტელეფონებია: 98-20-68, 98-20-69, 36-66-47.

კავშირი გაერთიანება „საქინფორმსამართალთან“ თქვენი წარმატების გარანტიაა!

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

მცირე საწარმო „ორლი“ გთავაზობთ ნებისმიერ IBM PS XT-თან თავსებადი უცხოური წარმოების ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილებს პროგრამული უზრუნველყოფით. მიწოდება მოხდება ერთი დღის განმავლობაში. შესყიდვა როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე. პროდუქციის ღირებულება საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

საწარმო სამუშაოდ იწვევს კვალიფიციურ ელექტროშემდუღებლებს.

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის 1.

☎: 37-58-25
37-06-64

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

**საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის**

## განცხადება

დღეს, საერთო ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობის დროს, როდესაც აგრერიგად გვჭირდება ადამიანური თანადგომა, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური აზრების სხვადასხვაობისა, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამბიციები, ხშირად ყოვლად უსაფუძვლოც, კვლავინდებურად თავს იჩენენ, რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები ჩვენთან ერთად „ილვწოდნენ“.

საქართველოს ქრისტიან-დემოკრატები, დღიდან თავის დაარსებისა, ტყვნენ და რჩებიან პოლიტიკაში ქრისტიანულ ზნეობის საფუძველზე, ჩვენი მოქმედების დევიზი — „არა განიკითხო“ — უცვლელია...

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი აცხადებს, რომ არ სცნობს არავითარ „საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს“, მით უმეტეს, როდესაც არსებობს საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია.

**საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი კომიტეტი.**

**18 იანვარი, 1991 წ.**

## ფიზიკის მასწავლებლებს

1991 წლის 9-10 თებერვალს 11 სთ-ზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კოოპერატივი „ლეპტონი“ აწყობს მეთოდურ სემინარს ფიზიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკაში. სემინარის მსმენელებს გადაეცემათ რიმკევიჩის ამოცანათა კრებულის ამოხსნები.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-21-50; წერილების განყოფილება — 90-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, 8. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ბ. ზაშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 68400

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.